საქართველოს რესპუბლიკა

წელიწადი პირველი
ფასი 40 კაპ.
საქართველოს მთავრობის მოამბე
ყოველდღიური გაზეთი
№ 18 ხუთშაბათი, 15 აგვისტო 1918 წ. № 18

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

ამ ნომერში ექვსი გვერდია

მთავრობის მოამბე ყოველდღიური გაზეთი
(ოფიციალური და არა ოფიციალური განყოფილებით)
„საქართველოს რესპუბლიკა“
ღირს ერთი თვით 10 მ., ცალკე ნომერი ყველგან 40 კაპ.
სავალდებულო განცხადებანი დადგენილი ნიხრით, კერძო განცხადებანი შეთანხმებით.
გაზეთზე ხელის მოწერა მიიღება დილის 10—3 საათამდე.
(ბარონის ქუჩა № 6, ტელეფონი—1—82.

განცხადება.

საქართველოს რესპუბლიკის არსენალი

თანახმათ არტილლერიის მიმწოდების უფროსისა, ამით აცხადებს, რომ 22 აგვისტოს 1918 წ., დღის 11 საათზე, დანიშნულია საჯარო ვაჭრობა საქართველოს არსენალში გასასყიდათ ერთის 20 მალიანი ლოკომობილისა თავის კუთვნილებით. ყიდვის დროს უნდა გადიხადოს მყიდველმა ნახევარი ფასი მასალისა. ქალაქში თავისუფლად გასატარებლად მყიდველს მიეცემა განსაკუთრებითი მოწმობა საქართველოს არსენალისგან. განმეორებითი საჯარო ვაჭრობა (პერეტორჟკა) მოხდება მესამე დღეზე. ყოველივე ცნობების მიღება შეიძლება არსენალის კანცელარიაში ყოველ დღე 9—3 საათამდე.

არსენალის უფროსი გვ. კაპიტანი გედევანიშვილი.
3—2 საქმეების მმართველი შავლაძე.

ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტროს განცხადება.

დამატებათ 25 ივლისის განცხადებისა, სპილენძის აღრიცხვის შესახებ, ცხადდება ყველა საზოგადო დაწესებულებათა და კერძო პირთა საყურადღებოთ, რომელთაც მოეპოვებათ საქართველოს ტერიტორიაზე შემდეგი მასალები:

შავი ლითონები:		
თუჯი ნაჭრობრივი	100	ფუთზე მეტი.
რელსი ყველა ზომისა	100	„ „
რკინის კოჭები სიმაღლით არა ნაკლებ 10 სანტიმეტრ.	100	„ „
რკინა ხარისხოვანი, ფურცლებათ და სახურავი	50	„ „
სარესორო ფოლადი	10	„ „
ლურსმანი ყველა ზომისა	50	„ „
წითელი და თეთრი ლითონები:		
თითბერი	10	„ „
ბრეჯენი (ტყვია)	10	„ „
კალა	5	„ „
თუთი	10	„ „
კაუსტიური სოდა	25	„ „
ცემენტი	100	„ „
გოგირდის სიმჟავე (თეზაფი)	10	„ „

რომ მათ წარმოადგინონ ორი კვირის განმავლობაში, ამ განცხადების გამოქვეყნების დღიდან, ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტროს სამრეწველო განყოფილებაში (ჭავჭავაძის ქუჩა 2), ცნობები შესახებ ზემო აღნიშნულ საქონელთა რაოდენობისა და საწყობის მდებარეობისა მათი პატრონთა გვარის აღნიშვნით. თუ ვისმეს ორი კვირის გასვლის შემდეგ აღმოაჩნდება სადმე რომელიმე ზემოაღნიშნული მასალა, რომელიც არ იყო წარმოდგენილი აღრიცხვისათვის, მასალა სახელმწიფოს სასარგებლოთ ჩამორთმეული იქნება, შეფასების ღირებულების ნახევარ ფასში, მათი პატრონნი კი სამართალში იქნებიან მიცემული 29 მუხლის სას. წეს. ძალით.

განცხადება

თანახმად ბ. ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრის ამხანაგის 12 აგვისტოს 1918 წ. დამტკიცებულ მოხსენებისა დროებით გადიდებულია გადასახადი საწონთა და საწყორთა გასინჯვისა და ოქრო—ვერცხლზედ პრობის დასმისათვის, გადიდებული გადასახადი შევა მალაში დღიდან ამა გამოცხადებისა საქართველოს მთავრობის ოფიციალურ ორგანოში.

მინისტრის რწმუნებული დასაპრობ სამმართველოსა და საწონ-საწყორთა პალატაში ინჟინერი ივ. ყიფშიძე. (3—1)

სავალდებულო დადგენილება.

ხოლერასთან საბრძოლველ თანხის შესადგენად თბილისის თვითმმართველობის საბჭო აწესებს ერთდროულ გადასახადს შემდეგის წესით:

I. სავაჭრო-სამრეწველო დაწესებულებათა პატრონთ გადახდებათ 1918 წლის სახელმწიფო სამრეწველო გადასახადის 20 პროც.

II. სავაჭრო თუ სამრეწველოების პატრონნი, რომელნიც სახელმწიფო სამრეწველო გადასახადს არ იხდიან (მეოთხე ხარისხის ვაჭარნი და მეშვიდე და მერვე ხარისხის მრეწველნი) იხდიან ერთდროულად 40 მან.

III. იმ მოვაჭრეთ, რომელთაც მუდმივი ბინა არა აქვთ სავაჭროთ და ამიტომ ან ხელზედ ვაჭრობენ, ან გადააქვთ და გადმოაქვთ საქონელი, ერთდროულად გადახდებათ 25 მ.

IV. ქუჩაში მომუშავე ხელოსანნი, ფეხსაცმელის მწმენდავნი, სურათების გადამღებნი და სხ. იხდიან 15 მან.

V. ეტლებზე მომუშავენი იხდიან: ა. მგზავრთა გადამზიდავ ეტლზე 50 მ. ბ. ბარგის გადამზიდავ წყვილ ცხენიან ეტლზე 40 მ. გ. ცალ-ცხენ. ეტლზე 30 მ. დ. ბარგის გადამზ. ერთ უღელ კამეჩზედ 40 მან. ე. ბარგის გადამზიდავ ერთ უღელ ხარზედ 30 მან. ვ. მოვაჭრენი ან ბარგის გადამზიდავნი, რომელნიც ან ვირზედ ეზიდებიან საქონელს ან ტაჩკაზედ—თითო ვირზედ იხდიან 10 მან. ზ. ბარგის გადამზიდავ თითო ცხენზედ 15 მ.

VI. გარდა იმ გადასახადისა, რომელიც პირველ მუხლშია მოხსენებული, სამიკიტნოების პატრონთ გადახდებათ საქალაქო გადასახადის 10 პროც.

VII. იმ პირთ, რომელნიც ან ყოველთვიურ ჯამაგირს იღებენ, ან ყოველთვიურ შემოსავალს—გადახდებათ ენკენისთვის შემოსავლის 20 პროც. თავისუფალ პროფესიის პირთ—თვიური შემოსავლის 20 პროც.

VIII. საზოგადო, სახელმწიფო და სავაჭრო-სამრეწველო დაწესებულებათა გამგენი და მმართველობანი, თუ მათში მოსამსახურეთა საერთო რიცხვი ოც კაცზედ ნაკლები არ არის, მოვალენი არიან ენკენისთვეში შეადგინონ მოსამსახურე პირთა სია, რომელშიც აღნიშნული უნდა იყოს—რა ერგება ენკენისთვის განმავლობაში ყოველ მათგანს და რა გადახდა ერთ დროულად 20 პროც. ვარაუდით.

IX. კლუბებსა, რესტორანებსა და სხ. ამგვარ დაწესებულებებში ყოველ ანგარიშის, საერთო ჯამს, ხოლერის მოსპობამდის ემატება 10 პრ. ხოლერასთან საბრძოლველ თანხის გასაძლიერებლად. პირველ ხარისხოვან რესტორანებს 10 პრ., დაბალ ხარისხოვანთ 5 პრ.

X. გადასახადი ეწერება ყველა იმ პირთ, რომელნიც ყოველდღიურ ვაჭრობის ნებართვის ასაღებათ ქალაქის თვითმმართველობის მარკებს იღებენ. ის პირნი, რომელნიც ენკენისთვის განმავლობაში ორ მანეთიან მარკას აიღებენ, მოვალენი არიან სანიტარული ფონდის გასაძლიერებლად ათ შაურიანი მარკაც აიღონ.

ვინც 1 მ. 50 კ. მარკას აიღებს—30 კ.
„ 50 „ „ „ — 15 „

XI. ის პირნი, რომელნიც ამ დადგენილების მესამე მუხლში არიან მოხსენებულნი, თუ ვინიცობაა არ გადიხდიან კუთვნილ ფულს, 1918 წ. განმავლობაში ვაჭრობის უფლებას ჰკარგავენ.

XII. ის პირნი, რომელნიც თავის ნებით გადიხდიან 15 მან. ან მეტს, განთავისუფლებულ იქნებიან თვიური შემოსავლის რაოდენობის ჩვენებისაგან.

XIII. სიტყვა შემოსავალი გულისხმობს ყველა თანხას, რომელიც კი მისაღები აქვს გადამხდელს ენკენისთვის განმავლობაში ხარჯების გამოუკლებლივ.

XIV. იმ შემთხვევაში, როდესაც ოჯახი ერთი პირის ხარჯით არ ინახება ქმარი, ცოლი და ოჯახის სხვა წევრი ცალ-ცალკე უნდა იყვნენ ნაჩვენები.

XV. ის პირნი, რომელნიც დაარღვევენ ამ დადგენილებას—ან დამალავენ შემოსავლის რაოდენობას, ან არ გადიხდიან კუთვნილ ფულს მომრიგებელ მოსამართლეთა დებულების 29 მუხლის ძალით დაისჯებიან (დროებითი მთავრობის 18 მარტის 1918 წლის რედაქციით).

XVI. იმავე მუხლის ძალით იქნებიან დასჯილნი სახლის პატრონნი და სახლთა კომიტეტების თავმჯდომარენი, თუ ვინიცობაა არ შეასრულებენ ხსენებულ ხარჯის აკრეფის წესდებებს.

XVII. ეს სავალდებულო დადგენილება ძალაში შედის დღიდან მისი გამოცხადებისა.

XVIII. დაწვრილებითი ცნობები იმის შესახებ თუ როგორ და რა წესით გადახდებათ მოქალაქეთ გადასახადი ცალკე წესდებაში იქნება გამოცხადებული. 3-2

ოფიციალური განყოფილება

კანონი.

მსხვილფეხა საქონლის ჭირთან საბრძოლველად 100.000 მან. გადადებისა ქუთაისის სადგურისათვის.

1. გაღებულ იქნეს სახელმწიფოს ხაზინის თანხიდან, შინაგან საქმეთა მინისტრის განკარგულებაში, 100,000 მან. ავანსად, საქონლის ჭირთან საბრძოლველად ქუთაისის სადგურისათვის.

2. კანონი შედის ძალაში დღიდან მიღებისა ეროვნულ საბჭოს მიერ.

1918 წ. აგვისტოს 13.

ეროვნულ საბჭოს თავმჯდომარე ნ. ჩხეიძე.
რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის მოადგილე ნ. რამიშვილი.

ბრძანება

შინაგან საქმეთა სამინისტროსადმი.
13 აგვისტო 1918 წ. ქ. თბილისი.
№ 224.

იგზავნება: ექიმი ნიკოლოზ ალექსანდრეს ძე გამრეკელი, როგორც შინაგან საქმეთა სამინისტროსთან არსებულ საექიმო-სასანიტარო განყოფილების რწმუნებული, ბაკურიანში, ბორჯომში და ახლო-მახლო ადგილებში ეპიდემიასთან საბრძოლველ ყველა ზომათა მისაღებად და ეპიდემიური რაზმების მუშაობის და სასურსათო ხასიათის საკითხების მოსაწესრიგებლად.

განთავისუფლებულია: ამა წლის 9 აგვისტოდან, გამოუცხადებლობის გამო, ექიმი ვლადიმერ მიხაილის ძე მახვილაძე, როგორც შინაგან საქმეთა სამინისტროსთან არსებულ საექიმო-სასანიტარო განყოფილების რწმუნებული, ბაკურიანში, ბორჯომში და ახლო-მახლო

ადგილებში გაგზავნისაგან, ადგილებზე ეპიდემიასთან საბრძოლველ ზომათა მისაღებად და სასურსათო საკითხის მოსაწესრიგებლად.

შინაგან საქმეთა მინისტრის მაგიერ მისი ამხანაგი ქ. საბახტარიშვილი.

დედანთან სწორეა

საერთო განყოფილების უფროსი გ. თულაშვილი.

ბრძანება.

საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკის მთავრობის სამხედრო უწყება.

11 მარიამობისთვეს, 1918 წ. ქალ. თბილისში.

№ 21

ამ წლის 16 მკათათვის თავის სხდომაზე მთავრობამ მოიწონა პროექტი სამხედრო სამინისტროს ახალის ორგანიზაციისა და დაადგინა იგი განახორციელოს დაუყოვნებლად ეროვნულის საბჭოს მიერ შტატების საბოლოოდ დამტკიცებამდე.

ამის ასასრულებლად ვბრძანებ:

I. გაუქმებულ და გადაკეთებულ იქნას:

1) თანამდებობა ჯარების სარდლისა, ხოლო სამხედრო მინისტრის თანაშემწის თანამდებობა კი დატოვებულ იქნას.

2) თანამდებობანი კვება-მოწყობის უფროსისა, საველე შტაბის უფროსისა, გენერალურის შტაბის სამართველოს უფროსისა, არტილერიის, საინჟენერო-სატეხნიკო ჯარების და სასანიტარო ინსპექტორებისა.

3) კვება-მოწყობის უფროსის კანცელარია და გადაკეთებულ იქნას სამმართველოები საარტილერიო, სამხედრო-სატეხნიკო, სამხედრო-სასანიტრო და საინტენდანტო კვება-მოწყობათა ახალის ორგანიზაციის შესაფერად მათ შეერთებით არტილერიის, საინჟენერო-სატეხნიკო ჯარების და სასანიტარო ინსპექტორებისა შესაბამს სამართველოებთან.

II. შედგენილ იქნენ სამხედრო სამინისტროს ნაწილები:

1) გენერალურის შტაბის ნაწილი განყოფილებით: საოპერაციოთი, საორგანიზაციოთი, საარტილერიოთი, საინჟენერო - სატეხნიკოთი, სამხედრო-საზღვაოთი და სამხედრო-საისტორიო არქივისა.

2) საერთო ნაწილი.

3) ჯარის პიროვნულის შემადგენლობის ნაწილი.

4) საადმინისტრაციო ნაწილი განყოფილებებით: საბიუჯეტოთი, სასურსათოთი, სასაზიდრო-სანივთოთი, სასადგუროთი და საპენსიოთი.

5) სამხედრო-სასანიტარო ნაწილი.

6) სამხედრო-საბეითლო ნაწილი.

III

სამხედრო-სატოპოგრაფიო ნაწილიდან სამხედრო-სატოპოგრაფიო განყოფილება გადატანილ იქნას გენერალურ შტაბის ნაწილში და გადაკეთებულ იქნას იგი განსაკუთრებულის შტატის თანახმად მისთვის სამხედრო-სატოპოგრაფიო ნაწილის სახელის შენარჩუნებით და მის დაქვემდებარებით პირდაპირ სამხედრო მინისტრის თანაშემწისთვის, ვიდრე შეიქმნებოდეს სპეციალის დანიშნულების განსაკუთრებული სახელმწიფო დაწესებულება, რომლის შემადგენლობაშიაც იგი შევა.

IV

შედგენილ იქნას სალიკვიდაციო ნაწილი სამხედრო სამინისტროს ყველა ნაწილებიდან და კვება-მოწყობის უფროსის კანცელარიიდან პატარა განყოფილებების გამოყოფით და დაეკისროს მას ყოფილის კავკასიის სამხედრო ოლქის ყველა საქმეების ლიკვიდაციის მოხდენა.

V

ყველა ნაწილების უფროსები, უკვე ჩემ მიერ დანიშნულნი ჩემის ბრძანებით 26 ივლისისა № დაუყოვნებლად შეუდგნენ გასაუქმებელის დაწესებულებების უფროსებთან ერთად, თანახმად შტატების პროექტისა, რომელიც მთავრობამ მიიღო ამ მარიამობისთვის 9 სხდომაზე, მათდამი მინდობილობის ნაწილების დარგების მოწყობს და მოსამსახურეთა არჩევას, რომელთა სია უნდა წარუდგინონ არა უგვიანეს 15 ამ მარიამობისთვისა.

VI

ნაწილების შედგენა დათავებულ იქნას სულ მოკლე ვადის განმავლობაში, რომ ეროვნულის საბჭოს მიერ ახალის ორგანიზაციის დამტკიცების დროსთვის ამ ორგანიზაციას ჰქონდეს უკვე სრულებით დათავებული სახე.

VII

გასაუქმებელის და გადასაკეთებელის დაწესებულებების ყველა ხარისხოსნები, რომელნიც უადგილოდ რჩებიან, ახალს ორგანიზაციაზე გადასვლის შემდეგ, დათხოვნილ იქნენ გადაყენებით, სათადარიგოდ, შტატს გარეშე ან ჩარიცხულ იქნენ რეზერვში არსებულის წესების თანახმად.

VIII

სამხედრო სამინისტროს რეორგანიზაციის საქმეთა მსვლელობის შესახებ ნაწილების უფროსებმა მომახსენონ ხოლმე მე ჩემის თანაშემწის საშუალებით ორჯელ მაინც კვირაში.

სამხედრო მინისტრი გიორგაძე.

ბრძანება

საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკის ჯარებს.

12 მკათათვეს, 1918 წელს, ქ. თბილისი.

1

არტილერიაში გადასაყვანად თეორეთიულად და პრაქტიკულად მომზადებისათვის იმ აფიცერთა, რომელნიც ქვეითა ჯარიდან მივლენილნი არიან არტილერიის ნაწილებთან და უმცროსი აფიცრების-არტილერისტების მომზადების გაფმრთოებისათვის ვბრძანებ:

1) საარტილერიო განყოფილების უფროსმა მოაწყოს და გახსნას არა უგვიანეს 1 ენკენისთვისა დროებითი კურსები აფიცრებისთვის შვიდ თვიანი კურსები.

2) მასწავლებლად მოწვეულ იქნენ საფასით სპეციალისტები.

3) კურსების გამგებლობა დაეკისროს ერთერთს ბრიგადის ან დივიზიონის კამანდირთაგანს დამატებითი ჯილდოს მიუცემლად და თავის თანამდებობაზე დატოვებით.

4) კურსების მოსათავსებლად მიჩენილ იქნას 3—4 შესაფერი ოთახი ყოფილის სამხედრო სასწავლებლის შენობაში.

5) საარტილერიო განყოფილების უფროსს ვაკისრებ შეიმუშაოს დებულება კურსების შესახებ, მეცადინეობის პროგრამა და დაწვრილებითი აღრიცხვა ხარჯებისა.

2

განსაკუთრებულს განკარგულებამდე, საარტილერიო ნაწილების შედგენა მოხდენილ იქნას შემდეგის თანდათანობით,

1, პირველს და მეორე საარტილერიო ბრიგადებში შედგენილი იყოს ოთხი სამთო ბატარია, მათში აფიცერთა, პირთა და ცხენთა შემადგენლობათა მშვიდობიანის დროის შტატებამდე დაყვანით, ხოლო ქონებისა —არსებულის ტაბელებით გათვალისწინებულს ოდენობამდე; მოხსენებულის ბატარიების შევსება კაცებით და ცხენებით შეიძლება მოხდეს მსუბუქს ბატარიებში მყოფის კაცებისა და ცხენების საშუალებით. თუ ამნაირად მოქცევის შემდეგაც სახის ბატარიისთვის არ იქნება სამყოფი კაცები და ცხენები, შედგენილ იქნას ნაკლები რიცხვი ბატარიებისა, მაგრამ უეჭველად სისრულით შეჭურვილნი ყოველის მხრით. შემდეგში, როდესაც შემოსულის კაცებით და ცხენებით სამთო ბატარიების რიცხვი დაყვანილ იქნება ოთხამდე, ნებას ვიძლევი დაწყებულ იქნას სუბუქის ბატარიების შედგენა დივიზიების უფროსების წინადვე შეტყობინებით და ჩემთან ამის შესახებ მოხსენების გამოგზავნით.

2) იმ ბატარიების კამანდირებს და აფიცერთა აუცილებელს შემადგენელობას, რომლებიც არა სდგებიან, თახახმად 1 მუხ., ეხლავე დაეკისროს, ბრიგადების კამანდირების ზედამხედველობით, შეგროვება და სათანადო მდგომარეობაში მოყვანა ყოველნაირის ქონებისა, რომელიც საჭირო იქნება შესაბამის ნაწილისათვის ისე, რომ ეს მუშაობა შესრულებულ იქნას სულ მოკლე ვადის განმავლობაში.

3) პირველს მუხლში ნათქვამის ასრულების შესახებ მეცნობოს მე ეხლავე ჯერვლენით.

სამხედრო მინისტრი გიორგაძე.

ბრძანება

სოხუმის განყოფილების მომრიგებელ მოსამართლისა 1918 წლის 1 ივნისიდან.

№ 23.

თანამდებობიდან და სრულიად სამსახურიდან დათხოვნილია სოხუმის მომრიგებელ განყოფილების მდივანი იოსებ ივანეს ძე იურკევიჩი, დემობილიზაციის შემდეგ სამსახურში გამოუცხადებლობის გამო.

№ 24.

სოხუმის მომრიგებელი განყოფილების მდივნის თანამდებობის ალმასრულებელი, საგუბერნიო მდივანი ერმოლოზ დიმიტრის ძე ნადარეიშვილი დამტკიცებულია სოხუმის მომრიგებელ განყოფილების მდივნის თანამდებობაზე 1 ივნისიდან 1918 წ.

№ 25.

სოხუმის მომრიგებელ განყოფილების მდივნის თანაშემწის თანამდებობის ალმასრულებელი ივანე იოსების ძე გულია დამტკიცებული იქნეს სოხუმის განყოფილების მდივნის თანაშემწის თანამდებობაზე 1 ივნისიდან 1918 წ.

№ 48.

1918 წლის 20 ივლისს თფილისის სამოსამართლო პალატის უფროსმა თავმჯდომარემ 769 მუხ. თანახმად, დაადგინა: თფილისის სამოსამართლო პალატის მდივანი ვლადიმერ ალექსანდრეს ძე ტიუმენევი დათხოვნილ იქნეს თანამდებობიდან, დანიშნულ ვადაზე სამსახურში გამოუცხადებლობის გამო.

დედანს ხელს აწერს უფროსი თავმჯდომარე მ. მოდლიშვილი.

№ 49.

1918 წლის 20 ივლისს. თფილისის სამოსამართლო პალატის უფროსმა თავმჯდომარემ 202 და 218 მუხ. ძალით დაადგინა: თფილისის სამოსამართლო პალატის მდივნის თანაშემწე იოსებ კობახიძე დაინიშნოს ამავე პალატის მდივნათ.

დედანს ხელს აწერს უფროსი თავმჯდომარე მ. მღვდლიშვილი.

სავალდებულო დადგენილება

სამგზავრო და საბარგო ავტომობილების და მოტოციკლეტების მოსაწესრიგებლად და რეგისტრაციის მოსახდენათ.

რადგან ყველა საქმეები და უწყებები, რომლებიც შეეხებოდა საავტომობილო ნაწილს, გადავიდა გზათა სამინისტროს განკარგულებაში, აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს მოხდეს რეგისტრაცია თბილისში არსებულ ყველა ავტომობილების, სამხედრო უწყების, საზოგადოებების, კავშირების, ეროვნულ და სხვა ორგანიზაციების და აგრეთვე ყველა კერძო ავტომობილების და მოტოციკლეტების.

ყველა უწყების ავტომობილებს, რეგისტრაციის შემდეგ ექნებათ საჭირო მოწმობები, შესაფერისი ნიშნები და წარწერები, რომლებიც გარკვეულათ უნდა ჩდენს როგორც დღით ისე ღამით.

რეგისტრაციის ადგილი დანიშნულია უმთავრეს საავტომობილო სახელოსნოებში (პავლოვის ქუჩა № 10).

აღნიშნული რეგისტრაცია მოხდება შემდეგის რიგით.

ყველა ავტომობილების და მოტოციკლეტების რეგისტრაცია, რომლებიც ემსახურებიან მთავრობის, სამხედრო და საზოგადოებათა დაწესებულებათ და აგრეთვე ეროვნულ ან სხვა ორგანიზაციებს, დაიწყება 29 ივლისს დილის 9 საათიდან და გაგრძელდება 10 აგვისტომდის. აგვისტოს ათს დილით 9 საათიდან დაიწყება რეგისტრაცია ყველა კერძო და ბირჟის ავტომობილების და გაგრძელდება 20 აგვისტომდის.

ყველა ავტომობილები და მოტოციკლეტები, რომლებიც მსვლელობაშია, წარმოდგენილი უნდა იქნეს დანიშნულ დროს აღნიშნულ ადგილზე.

რაც შეეხება იმ ავტომობილებს და მოტოციკლეტებს, რომლებიც მსვლელობაში არ არიან ან და რემონტში იმყოფებიან, იმათ შესახებ მათი პატრონები ვალდებულნი არიან წარმოადგინონ ცნობები ავტომობილის ფირმის, რაოდენობის, ვინაობა პატრონის და ადგილის, სადაც ავტომობილი იმყოფება. ასეთი მაშინების რეგისტრაცია მოხდება ადგილობრივ. ის ავტომობილები და მოტოციკლეტები, რომლებიც არ გამოცხადდებიან სარეგისტრაციოთ, მთავრობის განკარგულებით დაჭერილი ექნებიან და მათი პატრონნიკი პასუხისგებაში მიცემულნი.

გზათა მინისტრის ამხანაგი მალანია.

არა ოფიციალური განყოფილება

თბილისი, 15 აგვისტო.

როგორი აზრისაც უნდა ვიყოთ დემოკრატიულ რესპუბლიკის მომავალ სამხედრო ორგანიზაციის შესახებ, დღევანდელ პირობებში შეუძლებელია ჩვენი სახელმწიფოებრივი არსებობა, თუ კარგათ გაწვრთნილი რეგულ[illegible]ული ჯარი არ გვეყოლება.

დემოკრატიული იდეალი და ლტოლვილება იმაში მდგომარეობს, სხვათა შორის, რომ ხალხი გავათავისუფლოთ მუდმივი ჯარის შენახვის მძიმე ტვირთისაგან და გადვიდეთ საყოველთაო შეიარაღების სისტემაზე.

შეიარაღებული ერი, რომელსაც წარმოადგენს საყოველთაო შეიარაღების სამხედრო სისტემა, საუკეთესო გარანტიაა დემოკრატიული წესიერების და თავისუფლების. იგი უდიდესი და უშესანიშნავესი ფარია ყოველგვარ საფრთხის გასატეხათ შინ და გარეთ.

მაგრამ სანამ ეს „ნამდვილი დემოკრატიული სამხედრო წყობილება განხორციელდებოდეს, საჭიროა დრო, მშვიდობიანი გარემოება და კიდევ სხვა მრავალი კულტურულ-პოლიტიკური პირობა, რაც დღეს დღეობით ჩვენს აბობოქრებულ ცხოვრებას აკლია.

ხოლო სახელმწიფოს უიარაღოთ, ქვეყნის უჯაროთ დატოვება, თუნდა ერთი წუთითაც, მის განადგურებას და სიკვდილს უდრის. ამიტომ ჩვენი რესპუბლიკის მთავრობა თავიდანვე იმის ცდაში იყო, რომ სხვა და სხვა დროებით რაზმებსა და სახალხო გვარდიასთან ერთად შეექმნა მუდმივი ჯარის რეგულიარული ნაწილები და ამნაირათ გამკლავებოდა მოსეულ მტერს და თავაშვებულ ანარქიას.

ავად თუ კარგათ დღევანდელამდე მოვაღწიეთ. მაგრამ აწიც იმავე სამხედრო პირობებში დარჩენა მომაკვდინებელი იქნება ჩვენი დამოუკიდებელი რესპუბლიკისთვის.

ახლა საქართველოს ეროვნულ საბჭომ საბოლოოთ გადასწყვიტა და დააკანონა რეგულიარული ჯარის შექმნა და სამხედრო ბეგარის შემოღება. მან ახალი დიდმნიშვნელოვანი სამხედრო კანონები მიიღო და მით ღრმა და მტკიცე საფუძველი ჩაუყარა საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფოებრივ დაცვის საქმეს.

საჭიროა დაუყონებლივ ამ სამხედრო კანონების ცხოვრებაში გატარება, რომ ძლიერი ჯარის შექმნით წელში გავიმართოთ და თამამათ მტერ-მოყვარეს გამოველაპარაკოთ. ჩვენი ცხოვრების შედარებით ნორმალურ და მშვიდობიან კალაპოტში ჩაყენებაზე ფიქრი სავსებით სწორეთ მაშინ განხორციელდება. და უნდა ვთქვათ გულახდილათ, ჩვენი სამშობლოს საერთაშორისო მდგომარეობაც მხოლოთ მაშინ გამოსწორდება, მისი სახელი და მნიშვნელობა დიდათ აიწევს როგორც შინაურობაში, ისე მსოფლიო პოლიტიკის მაღალ სფეროებში.

მთავრობას დიდი შრომა და საშუალება დასჭირდება ჯარის შექმნისათვის. ამაში ყველა უნდა დაეხმაროს მას. ყველა საზოგადოებრივი ძალა, ყველა პოლიტიკური ჯგუფი თუ პარტია, ვისაც კი აინტერესებს სამშობლოს ბედი, უნდა შეერთდეს ძლიერი დემოკრატიული სამხედრო ორგანიზაციის მოსაწყობად.

კეთდება დიადი საქმე საქართველოს და თავისუფლების უზრუნველსაყოფელათ!

⁂

სულ ბრმა უნდა იყოს კაცი, რომ დღეს ვერ შენიშნოს მთელი საშინელება ჩვენი ეკონომიური და საზოგადოებრივი ცხოვრების უწესრიგობის. სიძვირე საზღაპროთ მატულობს ყოველ დღე, ყოველ წუთში. სპეკულიაციამ გადალახა ყოველი საზღვარი. ყველგან გაბატონებულია ურთიერთული მოტყუილება, ქურდობა-გაიძვერაობა და მტაცებლობა.

დამაფიქრებელი ის არის, რომ ეს გამათახსირებელი მოვლენა საყოველთაო ხასიათს ღებულობს, და თუ დროზე არ იქნა მიღებული სასტიკი სახელმწიფოებრივი ზომები ამ გამხრწნილი მუწუკის გამოსარწყავათ, მთელი საზოგადოებრივ-პოლიტიკური სხეული დიდი ხნით დაავადმყოფდება და ჩვენი თავისუფლებაც გაუგონარ განსაცდელში ჩავარდება.

ეს საშინელი სენი მარტო ჩვენს ქვეყანას არ სჭირს. სხვა მეზობელ და შორეულ სახელმწიფოებსაც დიდათ სტანჯავს ჩვენი დროის ავზნიანობა-სიძვირე, სპეკულიაცია, მტაცებლობა და მექრთამეული თარეში.

კიევიდან უკანასკნელად მიღებული გაზეთი „პასლედნია ნოვოსტი;“ სწერს „ხალხი გმინავს სპეკულიაციისაგან, მაგრამ მტაცებლობის გულახდილობა და რბევის ცინიზმი ჯერ არასოდეს არ ასულა იმ სიმაღლემდე, როგორც დღეს... ვაკხანალია თანდათან ფართოვდება და ღრმავდება. მას ბოლო არ უჩანს. არ უჩანს

საზღვარი ამ საზიზღარ როკვას ახალგაზდა სახელმწიფოს ცოცხალ სხეულზე“.

სეთ ითქმის საყოველთაო მოვლენაა. მაგრამ ამაში ჩვენთვის დიდათ მანუგეშებელი მაინცა და მაინც არაფერია.

რესპუბლიკის მთელი დადებითი ძალა და ღონე უნდა ამუშავდეს სახელმწიფოებრივი ორგანიზმის გასაწმენდათ. სამშობლოს სინიდისი უნდა ამეტყველდეს და სამუდამოთ შეაჩვენოს, სამარცხვინო ბოძზე გააკრას შინაური ქვემძრომი მტრები, რომლებიც ხრავენ ახალგაზრდა სახელმწიფოს აგებულებას.

თავისთავად ცხადია, ჩვენი მთავრობა გასკეცებული ენერგიით სასტიკათ შეებრძოლება ბოროტებას და შეუბრალებლად გაუსწორდება საყოველთაო მტაცებლობას, სპეკულიაციას და ქურდობას, რომელიც უხმოდ უთხრის ძირს საქართველოს დამოუკიდებელ არსებობას.

ეროვნული საბჭო

მკათათვის 30-ს სხდომა მე-25-თე.

თავმჯდომარე. აქ გახლავთ წინადადება ბატონ დავით ვაჩნაძისა. იგი მოითხოვს, რომ კანონპროექტი გადაეცეს სამხედრო კომისიას. ვინაიდან ეს წინადადება შემოსულია მას შემდეგ, როცა უკვე შეუდექით მუხლობრივ განხილვას—მე ამ წინადადებას ვხსნი. რჩება მეორე წინადადება. პირველი მუხლი მოითხოვს, რომ რაზმის შტატი გადიდებულ იქმნეს თბილისის და ქუთაისის გუბერნიებში 600 ან 1000 კაცამდე. შემოსული წინადადება წინააღმდეგია ამ გადიდებისა თქვენ შეგიძლიანთ გაადიდოთ რაზმი. (დ. ვაჩნაძე: დააყენეთ ბატონო, წინადადება) შეგიძლიათ უარჰყოთ წინადადება. თუ მომხსენებელს ნებავს სიტყვა (მომხსენებელი სურვილს აცხადებს) ინებეთ.

ალ. ლომთათიძე. (ს. დ.) ბატონებო! მე მეგონა, რომ საერთო მსჯელობა ამ კანონპროექტის შესახებ გათავდა, და აქ მსჯელობა უნდა იქმნას მხოლოდ პირველ მუხლის შესახებ, მაგრამ ამის მაგივრად საერთო მსჯელობა გაგრძელდა. ოპოზიციას საერთოდ არ მოსწონს ხოლმე, როდესაც მე ვკამათობ. მაგრამ რა უყოთ, რომ მათ საბუთები აერ-დაერევათ ხოლმე და კამათს გააგრძელებენ. ამაში ჩვენ ბრალი არ მიგვიძღვის. მაგრამ ამ კამათის გაგრძელება ჩვენთვის სასარგებლო გამოდგა. რევაზ გაბაშვილის ლაპარაკის დროს ჩვენ ერთი რამ შევიტყვეთ ახალი. მართალია ეს თვით გაბაშვილს არ უთქვამს, საყურადღებოა ერთი რეპლიკა, რომელიც მემარჯვენე ფრაქციაში იყო წარმოთქმული. რეპლიკა ეკუთვნის ვეშაპელს. მან სთქვა: ეს რაზმი მიწის ჩამოსართმევად უნდათო. (გ. ვეშაპელი: გასასყიდათ და არა ჩამოსართმევად, გასასყიდათ!) არ ვიცი! მე ასე გავიგე, და ყოველ შემთხვევაში გასასყიდათ, თუ ჩამოსართმევად შინაარსი არ იცვლება. ეროვნულ დემოკრატიულ ფრაქციას ეს რაზმი არ უნდა, რადგან სწორედ ეს რაზმი გაუწევს დიდ წინააღმდეგობას ეროვნულ-დემოკრატებს მიწის პროგრამის გატარებაში, რომელიც მხოლოდ დღევანდელ გაბატონებულ ჯგუფს აკმაყოფილებს. მეორე მხრივ ეს რაზმი დიდ სამსახურს გაგვიწევს სახელმწიფოებრივ აღმშენებლობის საქმეში. ეს იცის ეროვნულ დემოკრატიულ პარტიამ და ამიტომ არის, რომ ეწინააღმდეგება მის შექმნას.

ეს რაზმი მათის აზრით მიწის რეფორმის გასატარებლად იქნება გამოყენებული, ეს აღნიშნა კომისიაში თქვენმა წარმომადგენელმა. დღეს გაბაშვილმა სხვა მოსაზრებაც მოიყვანა რაზმის გადიდების საწინააღმდეგოდ მან სთქვა: ჩვენი ჯარი ისეთ სიგმირეს და სიმხნევეს იჩენს, რომ დღეს ტუაფსეშია, მან კინაღამ კავკავში ამოჰყო თავი. და რაღა საჭიროა საგანგებო რაზმების დაარსება თუ გადიდება ვერ გაგვიგიაო. ბატონოებო, ნუ თუ თქვენ არ იცით, რომ მარტო აღება კი არ არის საჭირო ამა თუ იმ ადგილისა, საჭიროა შენარჩუნებაც, რომ მარტო გაჯირითება, თუნდაც ბრძოლით არ კმარა, საჭიროა გამაგრება აღებულ ადგილებისა. შეიძლება თქვენთვის საჭირო არ იყოს არავითარი განსაკუთრებული რაზმის შედგენა თუ შევსება, მაგრამ ჩვენთვის, რომლებიც დაინტერესებულნი ვართ, რომ ჩვენ გამარჯვებულ ჯარს ზურგი მაგარი ჰქონდეს საჭიროა.

დაე, ხალხმა თვით გაიგოს თუ ვინ სდგას სახელმწიფოებრივ აღმშენებლობის პრინციპზე. ყოვლად მიუღებელია პროექტის სამხედრო კომისიაში გადაცემაზე ლაპარაკი.

თავმჯომარე. ეს მოვხსენი. გადიდებაზე ახლა ლაპარაკი.

ალ. ლომთათიძე. აუცილებლივ საჭიროა, რომ ეს საგანგებო რაზმი დროებით გადიდებულ იქმნას 600 კაციდან 1000 კაცამდე.

თავმჯდომარე. თვით მომხსენებელი წინააღმდეგია, რომ დავით ვაჩნაძის მიერ შემოტანილი წინადადება მიღებულ იქმნეს. მე კენჭს უყრი ამ წინადადებას. ვინ არის მომხრე, რომ ეს წინადადება მიღებულ იქმნეს და რაზმი არ გადიდდეს? უმცირესობა. მაშასადამე ეს შესწორება უარყოფილია. ეხლა, ბატონებო, კენჭს უყრი პირველ მუხლს. ვინ არის წინააღმდეგი? მაშასადამე პირველი მუხლი მიღებულია. გთხოვთ წაიკითხოთ მე 2-რე მუხლი.

ალ. ლომთათიძე. (კითხულობს მე 2-რე მუხლს).

თავმჯდომარე. ვის სურს სიტყვა? ვინ არის წინაღმდეგი? მაშასადამე მუხლი მიღებულია. შემდეგი მუხლი.

ალ. ლომთათიძე. (კითხულობს მე 3-მე მუხლს).

თავმჯდომარე. ვის სურს სიტყვა? ვინ არის წინააღმდეგი, რომ რაზმის უფროსს ჯამაგირად დაენიშნოს 600 მან. და მის თანაშემწეს 500 მანეთი? მაშასადამე ეს მუხლი მიღებულია. გთხოვთ წაიკითხოთ შემდეგი მუხლი.

ალ. ლომთათიძე. (კითხულობს მე 4-ე მუხლს).

თავმჯდომარე. ვის სურს სიტყვა? ვინ არის წინააღმდეგი? მაშასადამე ეს მუხლი მიღებულია. გთხოვთ წაიკითხოთ შემდეგი მუხლი.

ალ. ლომთათიძე. (კითხულობს მე 5-ე მუხლს).

თავმჯდმარე. ვის სურს, ბატონებო, სიტყვა? ვინ არის წინააღმდეგი? მაშასადამე წინადადება მიღებული გახლავთ. შემდეგი მუხლი.

ალ. ლომთათიძე. (კითხულობს მე 6-ე მუხლს).

თავმჯდომარე. ვის სურს სიტყვა? ვინ არის წინააღმდეგი? მაშასადამე მუხლი მიღებული გახლავთ. წაიკითხეთ შემდეგი მუხლი.

ალ. ლომთათიძე. (კითხულობს მე 7-ე მუხლს).

თავმჯდომარე. ვის სურს სიტყვა? ვინ არის წინააღმდეგი? მაშასადამე მუხლი მიღებულია. გთხოვთ წაიკითხოთ ახლა შენიშვნები.

ალ. ლომთათათიძე. (კითხულობს პირველ შენიშვნას).

თავმჯდომარე. ვინ არის წინააღმდეგი ამ შენიშვნისა? მაშასადამე შენიშვნა მიღებული გახლავთ. გთხოვთ წაიკითხოთ მეორე შენიშვნა,

ალ. ლომთათიძე. (კითხულობს მესამე შენიშვნას).

თავმჯდომარე. ვის სურს სიტყვა ამ შენიშვნის შესახებ? ვინ არის წინააღმდეგი ამ შენიშვნისა? მაშასადამე ეს შენიშვნაც მიღებულია.

ეხლა საერთოდ დავსვამ საკითხს. ვინც მომხრეა კანონპროექტისა ვთხოვთ ასწიოს ხელი. ვინ არის წინააღმდეგი? მაშასადამე კანონპროექტი მიღებულია. და გადაეცემა სარედაქციო კომისიას. გთხოვთ, ახლა, წაიკითხოთ შტატები.

ალ. ლომთათიძე. (კითხულობს შტატებს).

თავმჯდომარე. ვინ არის წინააღმდეგი საერთოდ შტატებისა? მაშასადამე შტატები მიღებულია. და გადაეცემა საერთოდ სარედაქციო კომისიას.

შემდეგი საკითხი გახლავთ გადასვლა კანონპროექტისა საფაბრიკო ზედამხედველობის, ინსპექციის გაუქმების შესახებ. სიტყვა ეკუთვნის საბჭოს წევრს ილია ბადრიძეს.

ილ. ბადრიძე. (ს. დ.) კანონპროექტი საფაბრიკო ზედამხედველობის გაუქმების შესახებ იყო მიღებული კომისიაში ერთხმად. მოგეხსენებათ, რომ სრულიად რუსეთის და ამიერკავკასიის რესპუბლიკის დარღვევის შემდეგ საქართველოს რესპუბლიკაში კიდევ დარჩნენ მრავალი ისეთი დაწესებულებანი, რომელნიც სრულიად ზედმეტი არიან საქართველოსათვის. ამ დაწესებულებებში არიან მრავალი მოხელენი, რომელთაც არავითარი სარგებლობა არ მოაქვთ ჩვენი რესპუბლიკისათვის. მათი სამსახურში ყოფნა გამოიხატება მხოლოდ იმით, რომ ყოველ 20 იღებენ ჯამაგირს. ერთი ასეთი მოხელეთაგანი არიან საფაბრიკო ზედამხედველები. შრომის სამინისტრომ საჭიროდ სცნო მათი თანამდებობის გაუქმება კომისიამ ამას ყურადღება მიაქცია და საჭიროდ დაინახა, რომ მათი თანამდებობა გაუქმებულ იქმნეს. კანონ-პროექტი შესდგება 5 მუხლისგან (კითხულობს).

თავმჯდომარე. ვის ნებავს სიტყვა ამ კანონ-პროექტის შესახებ? (სიტყვას თხოულობს იას. ლორთქიფანიძე). სიტყვა ეკუთვნის საბჭოს წევრს იასონ ლორთქიფანიძეს.

იას. ლორთქიფანიძე (ეროვნ. დემ.). ეროვნულ-დემოკრატიული ფრაქცია მხარს უჭერს ამ კანონს, მიუხედავად იმისა, რომ თუ კი გაუქმებულ იქმნება ვაჭრობა-მრეწველობის უწყების საფაბრიკო ზედამხედველობა—მაშინ ყოველივე უფლება და მოვალეობა საფაბრიკო ზედამხედველობისა უნდა გადაიდიოდეს ვაჭრობა-მრეწველობის ორგანოებზე და არა შრომის სამინისტროს ორგანოებზე, მაგრამ რაკი ეს ასე არ არის, ეროვნულ-დემოკრატიულ ფრაქცია საჭიროდ სთვლის მიაქციოს ეროვნულ საბჭოს ყურადღება შრომის სამინისტროს იმ ცალ-მხრივ პოლიტიკაზე, რომელსაც აწარმოებს იგი. დღემდის შრომის სამინისტროს არ შემოუტანია არც ერთი ისეთი კანონ-პროექტი, რომელიც ნამდვილად ემსახურებოდეს საქართველოს. იგი აწარმოებს მუშების დათხოვნის და მიღების საქმეს. მიუხედავად ამისა თანამედროვე საქართველოში არის ძლიერ დიდი რიცხვი უმუშევართა. საქართველოში მრავლად არიან შტატ გარეშე დარჩენილი მოხელენი, რომელთა მომავალ ბედზე შრომის სამინისტრო არა ფიქრობს, მიუხედავად იმისა, რომ ერთად ერთი სამინისტრო, რომელმაც უნდა იზრუნოს უმუშევართა და შტატ გარეშე დარჩენილ მოხელეთა შესახებ—ეს არის შრომის სამინისტრო. ეროვნულ-დემოკრატიული ფრაქცია ფიქრობს, რომ საჭიროა შრომის სამინისტრომ მიაქციოს ყურადღება უმუშევრად დარჩენილ მუშებს და შტატ გარეშე მყოფ მოხელეებს. ამასთან ეროვნულ დემოკრატიულ ფრაქციას საჭიროდ მიაჩნია განაცხადოს, რომ დღემდის სამინისტროს მოქმედება იყო ცალმხივი და რომ იგი ხელმძღვანელობდა ამა წლის იანვრის 14 საფაბრიკო და საქარხნო მუშების შესახე გამოცემულ დეკრეტით, რომელშიც არის უკანონო მუხლი და რომელსაც ეს სამინისტრო ავრცელებს ყველა დაწესებულებათა მუშებზე.

ამ კანონს კიდევ შეურიგდებოდა კაცი, რომ რაიმე გამონაკლისი ემჩნეოდეს სახელმწიფო დაწესებულებების მიმართ. მაგრამ კანონი არავითარ განსხვავებას არ აწესებს სახელმწიფო და კერძო დაწესებულებათა შორის. აი მე მოგითხრობთ თუ რა საშინელ მდგომარეობაში არიან ჩავარდნილი ჩვენი სახელმწიფო დაწესებულებანი ამ კანონის გამო.

პრესის მიმოხილვა.

ერთობა ითვალისწინებს ჩვენს საერთო მდგომარეობას, ეხება ახალ სამხედრო კანონებს და ამბობს:

> მკითხველმა იცის ჩვენი პარტიული პროგრამის დამოკიდებულება ამ საკითხთან: ჩვენ მოვითხოვთ მუდმივ ჯარის გაუქმებას და სახალხო მილიციის შემოღებას.
>
> მაგრამ ჩვენი ქვეყანა დღეს ისეთს პირობებში იმყოფება, რომ პარტიულ პროგრამის აღნიშნული მუხლი უნდა გადავდოთ, სანამ მარჯვე და მოხერხებული დრო დადგებოდეს მის განსახორციელებლათ.ეს არ არის არც პრინციპის ღალატი, არც პროგრამის დარღვევა . . . .
>
> მოვიგონოთ ბალშევიკური საფრთხე, როცა ნავთლუღის ახლოს გახულიგანებული ჯარის ნაწილები იდგა და თფილისს ემუქრებოდა; მოვიგონოთ ლეჩხუმ-საჩხერის და ცხინვალ-დუშეთის ამბები; მოვიგონოთ ოსმალეთის ასკერების და ადერბეჯანის თათრების თარეში ბორჩალოს მაზრაში. რა მდგომარეობაში იქნებოდა ახალა თფილისი და საზოგადოთ საქართველო, რომ რეგულიარულ ჯარის ნაშთები და სახელოვანი სახალხო გვარდია არ შებრძოლებოდა აღნიშნულ ბანდებს?
>
> . . . .
>
> . . . .
>
> ჩვენ მრავალი მტერი გვახვევია გარს და შეიარაღებული ძალა კიდევ დიდ ხანს იქნება საჭირო, ამიტომ რეგულიარულ ჯარის შექმნა დღევანდელ პირობებში აუცილებელია.
>
> მაგრამ ჩვენ არ ვივიწყებთ მომავალში მუდმივ ჯარის გაუქმების საჭიროებას. ამიტომ როგორც კი გარემოება ნებას მოგვცემს, სახალხო მილიციის, ხალხის საყოველთაო შეიარაღების საქმეს შევუდგებით და რეგულიარულ ჯარიდან სახალხო მილიციაზე გადავალთ.
>
> ჯერ-ჯერობით კი იძულებული ვიქნებით დავაკანონოთ ორი წლის სავალდებულო სამსახური. არავითარ შეღავათებს და გამონაკლისს ადგილი არ ექნება: განთავისუფლდებიან მხოლოდ სნეულები და საშუალო სასწავლებლის მოსწავლეები 22 წლამდი, სანამ საშუალო სწავლას დაასრულებდნენ.

⁂

„სახ. საქმე“ სამართლიანათ ლაპარაკობს თეთრი ტერორის გამო.

> რესპუბლიკას არ შეუძლიან ნორმატიულ საფუძვლების დავიწყება, მოქალაქეს არ შეუძლია სული მოითქვას თეთრი ტერორის ფარგალში, ყოველივე ეს საფუძეელია, პრინციპია სახელმწიფოებრივი შემოქმედებისა და ჩვენ მოვითხოვთ, რომ ეს პრინციპი ჯიჯგნის, დაცინვის და გამასხარავების საგანი არ გახდეს ნაძირალების მიერ.
>
> ნორმალური უფლებრივი ცხოვრების და მკვიდრება აუცილებელი პირობაა სახელმწიფოებრივი ცხოვრებისათვის. ცხადია, მთავრობა და პარლამენტი მთელს თავის ძალას და გავლენას ამ ნორმალურ უფლებრივ-სახელმწიფოებრივი ცხოვრების დამკვიდრებას მოახმარებს.

⁂

„ტრუდოვოე ზნამია „სწერს რუსეთის ცხოვრების შესახებ:

> „უკანასკნელი ამბები გადაჭრით ლაპარაკობს თუ საით იხრება გლეხების თანაგრძნობა. ბალშევიზმი დაეცემა. ეს იქნება საწინდარი რუსეთის დემოკრატიის აღორძინებისა“.

კარგათ არ გვესმის მაინც საით იხრება რუსეთის გლეხობის თანაგრძნობა. ხოლო რაც შეეხება ბოლშევიზმს, მისი დაცემა აუცილებელია, რასაც უთუოთ მოჰყვება დემოკრატიულ ძალთა გამოფხიზლება და თანდათანი აღდგენის სურვილი. მხოლოდ არ ვიცი რა როლს შეასრულებენ ამ პროცესში „ტრუდოვოე ზნამიელები“. რუსეთი როცა ბალშევიზმს გამოეთხოვება, ის გამოეთხოვება აგრეთვე იმ ვითომ სწორ დემოკრატიულ და ვითომ მემარცხენულ მიმდინარეობასაც, რომელსაც ასე მკრთალად ხატავს „ტრ. ზნამია“.

⁂

„ვოზროჟდენიე“-ში ვინმე ლესოვიკი ეხება ქართველ ლაშქრის მდგომარეობას. იგი სწერს:

> „ლაშქრის მდგომარეობა. კატასტროფულია. მას არა აქვს საკმაო საკვები, ტანისამოსი და ფეხსაცმელი, ჯარის-კაცთა რიცხვი დღითი დღე მცირდება, ლაშქრის ყველაზე მეტად ლოიალურმა ელემენტებმა, ოფიცრობამ უკვე აღიარა მწარე სინამდვილე: დაიწყო ლაშქრის დასასრული“.

ჩვენ რა თქმა უნდა არ ვიტყვით, რომ ჩვენს ლაშქარს არა აკლია-რა. თვით ძლიერ სახელმწიფოთა ჯარშიაც კი შეიპარა ერთგვარი ნაკლულოვანება, როგორც ტანისამოსის, ისე სურსათის მხრივ. და, რა გასაკვირველია თუ ჩვენი სამშობლოც ვერ ასცდა ამას. მაგრამ აშკარაა ერთი: ჯარის იმ რეგულიარულ ნაწილებში, რომელიც გვყავს, სულიერი განწყობილება დღითიდღე უმჯობესდება და ესაა საწინდარი ჯარის გაჯანსაღებისა.

რაც შეეხება ქართულ ლაშქრის ერთ ოფიცრის ციტატას, რომელიც მოჰყავს ლესოვიკს—იგი სრულებით არ შეეფერება სინამდვილეს. იგი სწერს:

> „მთავარი დამაბრკოლებელი მიზეზი ჯარის მოწყობისა ეს არის რაღაც გაურკვეველი უნდობლობა, რომელსაც იჩენენ ჩვენი სახელმწიფოებრივ პოლიტიკის ხელმძღვანელნი თვით ლაშქრის შექმნის იდეისადმი“.

ჩვენი მთავრობა თავის დეკლარაციაში ნათლად აღნიშნავდა, რომ მას აუცილებლად მიაჩნდა ჯარის შექმნა. დღეს ეს ნაბიჯი უკვე გადადგმულია. ეროვნულ საბჭომ და მთავრობამ უკვე მიიღო რეგულიარულ არმიის ორგანიზაციის კანონი. და მაშასადამე იმის თქმა, რომ ჩვენი მთავრობა უნდობლობას იჩენს ლაშქრის შექმნის იდეისადმი—ეს მეტი რომ არ ვთქვათ, შეცდომა და გაუგებრობაა.

საამდროო წერილები.

—:—

იმ საკითხის გადაწყვეტის დროს თუ რას მოიტანს მომავალი „მშვიდობიანი ომი“, ჩვენ ერთ წუთსაც არ უნდა დავივიწყოთ საქართველოს გეოგრაფიული მდგომარეობა აზიისა და ევროპის საზღვრებზე. საზოგადოთ, როგორც ვიცით ისტორიიდან, ამიერ-კავკასია წარმოადგენდა „ხალხთა დიდ ლაბორატორიას,“ რომლიდანაც დღევანდელი დასავლეთი ევროპა წარმოიშვა.

რა ჯურის ხალხი არ მოსულა აქ, უბინადრია და შემდეგ წასულა ზოგი დასავლეთისაკენ და ზოგი კი ჩრდილოეთისაკენ! უნებლიეთ მაგონდება აქ ფილოსოფოს-მგოსნის სიტყვები, იმ მგოსნისა, რომელიც იმავე დროს ჩინებული ისტორიკოსიც იყო Wer kann nenner der Völkeznamen Dier zusammekemmen.

ეს გეოგრაფიული მდგომარეობა იყო ხშირად საქართველოს უბედურების მიზეზი; ამის გამო მას არა ერთხელ აოხრება და განადგურებაც განუცდია, მაგრამ ამავე დროს იგივე გეოგ-

რაფიულ მდებარეობას ჰქონდა წარსულში და აქვს ახლაც დიდი მნიშვნელობა საქართველოს სასარგებლოდაც. როგორც ვიცით საქართველოთი გადის უახლოესი გზა ევროპიდან აზიაში, აგრეთვე საქართველოს-სამხედრო გზა წარმოადგენს უახლოეს გზას ჩრდილო-კავკასიიდან შუაგულ ამიერ-კავკასიაში, მაშასადამე ვაჭრობა მომავალში ევროპა და აზიის შორის უმთავრესად ამიერ-კავკასიით და საქართველოთი იწარმოებს.

ეს გარემოება კი ჩვენი ერის ნივთიერ განვითარებისათვის დიდ-მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს. მაგრამ ჩვენ მხოლოდ მაშინ შეგვიძლია სავსებით ვისარგებლოთ ამ ბედნიერი გარემოებით, თუ რომ აქტიურ მოქმედების უნარს გამოვიჩენთ, ამ შემთხვევაში, თუ ვაჭრობის ევროპიულად წარმოებას მივყობთ ხელს.

ამასთანავე უნდა აღვნიშნოთ, რომ დიდი მნიშვნელობა აქვს ჩვენი ქვეყნის მომავლისათვის მას, თუ როგორ იქნება მოწყობილი საქართველოში მადნეულობის ექსპლოატაცია, ვინ ედგომება სათავეში ამ მდიდარ საქმეს?

სამწუხაროდ, ჩვენში ჯერ-ჯერობით ამ მხრით არაფერი გაკეთებულა. საერთოდ ჩვენს პრესსაში უფრო აკადემიურად არკვევენ მას, თუ მადნეულობა ვის უნდა ეკუთვნოდეს, სახელმწიფოს თუ კერძო პირთ, მხოლოდ ამ საკითხის პრაქტიკული მხარე უყურადღებოდ არის დატოვებილი.

საქართველოში მოიძებნებიან არა ერთი და ორი პირნი, რომელთაც საკმაო მეცნიერება შეუსწავლიათ საზღვარგარეთ, განსაკუთრებით კი გერმანიასა და ავსტრიაში. მათ შეუძლიათ დიდი სარგებლობა მოუტანონ ჩვენს ქვეყანას. როგორც ვიცით, ამ დასახელებულ სახელმწიფოებში უმაღლესი საკმაო აკადემიები არიან დაარსებული სწორედ ამ, ხშირად პატარა სამაზრო ქალაქებში, სადაც კი რაიმე მადნეულობის მუშაობა სწარმოებს. ამნაირად იქ პრაქტიკულად ცოდნის შეძენა თეორიულ გამოკვლევებს თან მისდევს, ეს კი გაცილებით უკეთ ამზადებს მომავალ ინჟენერს, ვიდრე ვთქვათ, პეტროგრადის სამთო ინსტიტუტში, სადაც სამთო საქმეთა პრაქტიკულად შესწავლა საზოგადოდ არ სწარმოებდა და თუ მაინცა და მაინც აქ იყო ეს სასწავლებელი დაარსებული მხოლოდ იმ განზრახვით, რომ უმაღლესი სპეციალური სასწავლებელი სატახტო ქალაქს უფრო შეშვენის, ვიდრე პროვინციალურსო. იმას კი აღარ დაეძებდენ, სად უნდა შეეძინა ახალ-გაზდას სპეციალური ცოდნა საგნისა. ბოლო ხანებში ორგან თუ სამგან პროვინციებშიც გახსნეს ამგვარი სასწავლებლები, მათი მნიშვნელობა მომავალში თუ იჩენს თავს, დღემდე კი პეტროგრადის სამთო ინსტიტუტი იძლეოდა ამ დარგის „სპეციალისტებს“.

ვიმეორებ, საზღვარგარეთ სამთო მეცნიერებაში კარგათ გაწვრთნილნი პირნი ჩვენში მოიპოვებიან, მხოლოდ მათ უსახსრობის გამო არა აქვსთ საშუალება, რომ გეოლოგიური კვლევაძიებისათვის. ექსპედიციები მოაწყონ. მათ არა აქვთ საკუთარი თანხა ამისათვის, მაგრამ სახელმწიფომ თვით უნდა იდვას თავს ამ დიდი საქმის გაძღოლა და აღმოუჩინოს მათ ნივთიერი დახმარება. რაც მალე შეუდგებით საქმეს ამ მიზნის მისაღწევად, ის სჯობია ჩვენთვის, რადგანაც ამ დარგში ინიციატივა აუცილებლათ ჩვენ უნდა დაგვრჩეს ხელში. ზედმეტად მიმაჩნია სიტყვის გაგრძელება იმის შესახებ, თუ რა დიდი მნიშვნელობა ექნება მადნეულობის წარმოების განვითარებას მომავალ ვაჭრობისათვის და საზოგადოთ საქართველოს მრეწველობის და კულტურის განვითარებისათვის. ეს ყველასათვის ცხადზე უცხადესი უნდა იყოს.

დ.

ბაქოს მდგომარეობა.

ბაქოში ბალშევიკებმა იარაღი დაჰყარეს. შედგა ახალი მთავრობა, რომელმაც გამოაქვეყნა შემდეგი მოწოდება:

„ამხანაგებო და მოქალაქენო! უმძიმეს მომენტში, როდესაც რუსეთის რევოლიუციის მტერი მოადგა ბაქოს ბჭეებს, ქ. ბაქოს საბჭოს სახალხო კომისრები თანამდებობიდან გადადგნენ. ვიწრო პარტიული პოლიტიკით გაჟღენთილმა მთავრობამ ვერ შესძლო იმ ხანში, რამდენი ხანიც მან იარსება, შეექმნა საგარეო თუ საშინაო ფრონტზე ისეთი მორალური და მატერიალური პირობები, რომლებიც მისცემდნენ ბაქოს პროლეტარიატს და წითელ არმიას შეძლებას უზრუნველეყოთ ბაქო საფრთხისაგან და შეენარჩუნებინათ ქალაქი რევოლიციონურ რუსეთისათვის.

ბაქოს პროლეტარიატმა, სახელოვანმა არიამ და ფლოტმა 25 ივლისის საბჭოს არაჩვეულებრივ გაფართოებულ კრებაზე თავის ხმებით უარჰყო კომისართა პოლიტიკა, უნდობლობა გამოუცხადა მათ.

ამ კრიტიკულ მომენტში სამი პარტია: სოციალისტ-რევოლიუციონერები, სოციალ-დემოკრატი მენშევიკები და დაშნაკცუტიუნი დარჩენ თავის სარევოლიუციო პოზიციებზე და გადასწყვიტეს დაიცვან ქალაქი ოსმალთა ურდოებისაგან უკანასკნელ შესაძლებლობამდე.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ საბჭოს კომისართა გადადგომისთანავე წითელი არმიის სამხედრო სარევილიუციო კომიტეტში, მცირე გამონაკლისით, ბევრი საპასუხისმგებლო პოსტები დატოვებულ იქნა. ამ საშინელ პირობებში უმთავრობობამ ქალაქში გამოიწვია დიდი პანიკა. მხოლოდ სახელოვან კასპიის ფლოტს არ დაუკარგავს ჭკუა და გონიერება. მან გამოაცხადა ქალაქში თავისი თავი მთავრობათ, და აიღო რა მთელი ძალაუფლება ხელში, შეუდგა მედგარ თავდაცვას.

პროლეტარიატის უმაღლესმა ორგანომ, აღმასრულებელმა კომიტეტმა, გაფართოებულმა საბჭოში მყოფ პარტიათა წარმომადგენლებით, თავის მოვალეობათ ჩასთვალა განეგრძო მუშაობა. მხოლოდ ბაქოს საბჭოა უფლება-მოსილი პასუხი აგოს ქალაქის პროლეტარიატის და მთელი რევ. რუსეთის წინაშე.

გრძნობს რა თავისი პასუხისმგებლობის სიმძიმეს, დრ. აღმასრ. კომიტეტის პრეზიდიუმი მოუწოდეს ყველა მოქალაქეს, მუშებს და არმიელებს, მხარი დაუჭირონ საბჭოს და გაამაგრონ მისი უფლების ავტორიტეტი.

უპირველეს თავის მიზნათ პრეზიდიუმი სთვლის ყოველმხრივ გაამაგროს ფრონტი. ამის შესრულებას ჩვენ შევსძლებთ მხოლოდ ადგილობრივ მცხოვრებლებისავე დახმარებით.

მეორე მიზნად, არა ნაკლებ საყურადღებოს პრეზიდიუმი ისახავს სასურსათო საკითხის წრაფად მოგვარე [illegible] რის შესახებაც უკვე მიღებულია საჭირო ზ[illegible]ები.

„ოსმალების მოახლოვების და სახალხო კომისართა გადადგომის დროს ფინანსიური აპარატი ქალაქის დაწესებულებებში მეტად აწეწილ დაწეწილი იყო. პრეზიდიუმს მძიმე ტვირთად აწვება მოაგვაროს ეს საქმე: განაახლოს ცხოვრება საბჭოს და ქალაქის დაწესებულებებში და უმთავრესად გამოიკვლიოს რაოდენობა იმ თანხისა, რომელიც საბჭო[illegible] ხაზინაში კომისრების წასვლის შემდეგ დარჩა. ბაქოს პროლეტარიატი და მცხოვრებლები მიხვდებიან, თუ რა მძიმე მომენტში ავიღეთ ჩვენ უმაღლესი ძალაუფლება ხელში.

ჩვენ ეჭვიც არ შეგვდის, რომ ბაქოს პროლეტარიატში, ჯარისკაცებსა და მეზღვაურებში ვპოვებთ დახმარებას და თანაგრძნობას, როგორც გარეშე მტრებთან ბრძოლაში, ისე მშრომელთა ცხოვრების სოციალურ პირობათა მოწესრიგებაში. დრ. აღმ. კომიტეტის პრეზიდიუმი, შეერთებული სამხედრო ფლოტილიის—ცენტრო-კასპიის—დიქტატურასთან არის ქალაქში უმაღლესი მთავრობა.

სხვა მთავრობა არ არსებობს და მხოლოდ ამას ემორჩილება ყველა დაწესებულებანი.

მოუწოდებთ ყველა დაწესებულებებს დარჩნენ თავის პოსტებზე და განაგრძონ თავის მოვალეობის ასრულება.

მოუწოდებთ მოქალაქეებს შეადგინონ ჩქარა რაზმები, შეებრძოლონ კარზემომდგარ მტერს და გადურჩინონ ბაქო რევ. რუსეთს.

ყველამ, მოქალაქენო და ამხანაგებო, გასწიეთ მუშაობისკენ! ყველამ—ფრონტებისკენ! ყველაფერი ფრონტისთვის! ამაშია ეხლა რევოლიუციის ხსნა.

დრ. აღმ. კომიტეტის პრეზიდიუმი: თავმჯდომარე ალ. არაქელიანცი. წვერები: აბრაველუნცი, ლ უმანსკი, მელიკ იოლჩიენცი აიოლლო.

დეპეშები.

(დეპეშათა სააგენტო)

14 აგვისტო.

მიღებულია თბილისის რადიოსადგურით.

ბერლინი, 13 აგვისტო. სამხედრო ცნობა. დასავლეთის ფრონტი. კრონპრინც რუპრეხტის ლაშქარი. იპრის სამხრეთ დასავლეთით დილა ადრიან ძლიერი საარტილერიო ბრძოლა იყო. მერისის სამხრეთით ინგლისელთა შეტევები ბევრჯერ მოვიგერიეთ. ანკრისა და ავრის შუა სომას სამხრეთით მტერმა შეუტია ლუკოკურტ, ვილერ-მრეტონეს, მათი შეტევა მალე მოვიგერიეთ. გზატკეცილ ამიენრუას ჩრდილოეთით საღამოს ჩვენ მოვიგერიეთ მტრის ძლიერი შეტევები. ავრას და უაზას შუა მთელი დღის განმავლობაში ბრძოლაა მტერთან, რომელსაც მხარს უჭერს ფრანგების დივიზია.

გერმანიის კრონპრინცის ლაშქარი. ფისმის ჩრდილოეთით და აღმოსავლეთით ჩვენი იერიშები გამარჯვებით დამთავრდა და მოგვცა ჩვენ რამოდენიმე ტყვე. გუშინ ჩამოვაგდეთ მტრის 29 ჰაეროპლანი. ლეიტენანტებმა უდეტმა, ბერტხოლდმა, რიხტგოფენმა, კენეკმა და ტომმა ჰაერში ბრძოლის დროს გაიმარჯვეს.

ვენა, 12 აგვისტო. სამხედრო ცნობა. ტიროლის მთიან ფრონტზე 37 პოლკმა მტერზე გაიმარჯვა. ფილტრეს ტერიტორიაზე მტრის ჰაეროპლანებმა მშვიდობიან მცხოვრებლებს დიდი ზარალი მიაყენა. დანარჩენ ფრონტზე ღირს შესანიშნავი არაფერია.

სტამბოლი, 13 აგვისტო. სამხედრო ცნობა. პალესტინის ფრონტი. ფრონტის ბევრ ნაწილებზე ჩვენ მოვიგერეთ მტრის მზვერავი რაზმი. დრო გამოშვებით საარტილერიო ბრძოლა და საჰაერო მოქმედებაა იორდანეს აღმოსავლეთით. სხვა ფრონტებზე სერიოზული მოქმედება არ არის.

პარიზი, 13 აგვისტო. სამხედრო ცნობა. დღის განმავლობაში ფრანგების ჯარებმა განაახლეს თავისი შეტევები მადცის და უაზას შუა. მიუხედავათ გერმანელების ძლიერი წინაამდეგობისა ფრანგები გამაგრდნენ პლესე-დე-რუასთან.ფრანგები 2 კილომეტრით წინ წავიდნენ სოფ. კემბრონის ჩრდილოეთით. დანარჩენ ფრონტზე ღირს შესანიშნავი არაფერია.

ბერნი, 13 აგვისტო. გარეშე საქმეთა სამინისტროს სტატს მდივანი გინტცე წავიდა სახელმწიფო კანცლერთან მოსალაპარიკებლად მის მთავარ ბინაზე.

ლენინის სიტყვა.

საბჭოთა მეხუთე ყრილობაზე ლენინმა ასე დაასრულა თავისი სიტყვა:

„ის ადამიანები, რომელნიც ჩვენ გვაკრიტიკებენ, იჩენენ თავის არგუმენტაციებში იმას, რომ მათ ნახევარი წლის სოციალისტური რევოლიუციის შემდეგ ვერაფერი ვერ ისწავლეს. ჩვენ ძალიან ბევრი გავაკეთეთ პურის და მანუფაქტურის განაწილების დარგში. არც ერთ სახელმწიფოში, არც ერთ რესპუბლიკაში არ გაკეთებულა ის, რაც ჩვენთან არის. ჩვენ დავადგინეთ განაწილება ღატაკი ხალხის სასარგებლოთ. ბრესტის ხელშეკრულეობის შემდეგ მუშებმაც და გლეხებმაც სოციალიზმის გზაზე ბევრი რამ გაიგეს; ახლა ისინი გამოუცდელები აღარ არიან და შესძლებენ მიაღწიონ თავის მიზნებს“.

ყველამ ვიცით, რომ ეს უბრალო ტრაბახი და ხალხის მოტყუილებაა. მაგრამ ლენინი ხომ ლენინი აღარ იქნება, რომ დემაგოგიით შეზავებული ტრაბახობა და ტყუილები არ შესთავაზოს რუსეთის „ღარიბ-ღატაკთა“ კლასს.

ჩვენმა კრიტიკოსებმა ვერაფერი ისწავლესო. ეს არ არის მართალი. მათ ის ისწავლეს, ისინი იმაში დარწმუნდნენ, რომ ბალშევიკური დიქტატურა დამღუპველია დემოკრატიისა და სახელმწიფოსი.

პური და მანუფაქტურა გავანაწილეთო. ამის გამანადგურებელ პასუხს იძლევა დღევანდელი რუსეთის აყვირებული შიმშილი და უბედურება. რუსეთი სულიან-ხორციანათ იხრჩება და ლენინი კი იძახის „კომუნიზმი“ მყარდებაო“.

ასეთს „კომუნიზმს“, ლენინისგან ქებულს, ღმერთო გვაშორე, ღმერთო გვაშორე!

ახალი ამბები.

მთავრობაში.

○ განათლების მინისტრმა შუამდგომლობა აღძრა რომ საშუალო სატეხნიკო სასწავლებლისთვის გადაიდოს 51,804 მ. 93 კ. სასწავლებლის 1 ივნისადან 1 იანვრამდე შესანახად.

○ შინაგან საქმეთა მინისტრის მოხსენებით ფოსტა-ტელეგრაფის შტატს გარეშე დარჩენილ მოსამსახურეთათვის 50 ათასი მანეთი გადაიდო,

○ ბათომის და ყარსის დაწესებულებანი 1 ივლისიდან გაუქმებულად არის აღიარებული.

○ 12—14 აგვისტოს მტკვრიდან ამოიღეს 14—16 წლ. ბავშვის გვამი.

○ თბ. სამოსამართლო პალატის შტატს გარეშე დარჩენილ მოხელეთა დასაკმაყოფილებლად იუსტიციის მინისტრს საჭირო თანხა მიეცა.

○ სახალხო განათლების სამინისტრომ ნება დართო გზათა საქმეთა ინჟენერებს ა. ვ. ადრიანოვსა და გ. ვ. შარამზანოვს გახსნან თბილისში უმაღლესი საინჟინერო კურსები.

○ იუსტიციის მინისტრის მოხსენებით თბ. უფროს ნოტარიუსის თანაშემწე სერგეევსკი გადაყენებულ და სამართალში იქმნეს მიცემული.

○ მთავრობამ მარილის მონაპოლიის შემოღების შესახებ დაადგინა სასურსათო სამინისტროს დაავალოს სოფლად მარილი პურზე გაცვალოს. მარილის მონოპოლიის საკითხის განხილვა ფინანსთა სამინისტროს მიენდოს.

○ გაზეთებში მოთავსებული იყო ცნობები სახელმწიფო ბანკის ლიკვიდაციის შესახებ. ფინანსთა სამინისტროდან მიღებული ცნობები ეს ცნობა სინამდვილეს მოკლებულია. ამ ჟამად ხდება ბათუმის განყოფილების მხოლოდ ნაწილობრივი ლიკვიდაცია. რაც შეეხება სახელმწიფო ბანკის თფილისის კანტორას, იქ არაფერი ცვლილება არ არის და ქართული ეროვნული ბანკის დაარსებამდე, მის ლიკვიდაციაზე ლაპარაკიც მეტია.

○ გამოირკვა რომ საქართველოს მიწაწყალზე ნავთიან ადგილების დამუშავება მთავრობას მისცემს დღეში 1000 ფუთ ნავთს. ზოგ რაიონში და განსაკუთრებით თელავში უკვე დაიწყეს ნავთის დამუშავება. დამუშავებული ნავთით პირველ რიგში დააკმაყოფილებს რკინის გზებს, შემდეგ თფილისის ქალაქის გამგეობას.

○ ტფ. ფიზიკურ აბსერვატორიისთვის განათლების მინისტრს მიეცა 27.400 მან. სესხად.

○ გზათა მინისტრის მოხსენებით საავტომობილო საქმის შესახებ მთავრობამ მოიწონა გზათა მინისტროს აზრი, რომ საავტომობილო საქმის ქალაქთა კავშირისთვის გადაცემა არ შეიძლება და მიზანშეწონილიც არ იქნება.

○ სასამართლო პალატის შტატს გარეშე დარჩენილ მოხელეთა ჯამაგირების გადიდების პროექტი გადაეცა სახელმწიფო კონტროლიორს თავის აზრის გამოსათქმელად.

ბალშევიკური მოძრაობა.

○ ბალშევიკების თავდასხმა. ქვალონიდან ჯავშნიან მატარებელთა უფროსს გოგუაძეს დეპეშით ატყობინებენ: „7 აგვისტოს დღის 11 ს. ბალშევიკთა ბრბო 30—40 კაცისაგან შემდგარი დაეცა სადგურს და მოსთხოვა ფული. ასტეხეს სროლა. გაქურდეს სადგურის უფროსი და მისი თანაშემწე კლეპნიკოვი. სახელმწიფო ქონება დაცულია. იმ დღის ნავაჭრი კასიდან 1200 მან. სადგურის უფროსმა გადაარჩინა. გამოწვეულ იქმნა ახალსენაკიდან ჯავშნიანი მატარებელი № 2. სადგურზე მცველები არ იდგნენ. ტყვედ წაიყვანეს მორიგი ტელეგრაფის მოხელე გაბისონია“ ბრბო გაფანტულია. წესიერება აღდგენილ იქმნა.“

კრებები და საზოგადოებანი

○ ქალაქის თვითმმართველობის მოსამსახურეთა მეექვსე მომატების ხარჯების დასაფარავად, ქალაქის საბჭომ დაადგინა 50%-ით გაადიდოს ტრამვაით მიმოსვლის ფასი და დააწესოს განსაკუთრებული გადასახადი იმ შენობებზე, რომლებშიც სწარმოებს ვაჭრობა მრეწველობა.

○ ვაჭრ.-მრეწველობის სამინისტრომ გერმანიის მისიის სამეურნეო განყოფილების წევრს გეოლოგ ექიმ პფაფს და სამთო სამმართველოს. გეოლოგს ექიმ ციციშვილს მიანდო გაისინჯონ საქართველოს სხვა და სხვა ადგილები, რათა გამოარკვიონ რამდენად შესაძლებელია ნავთის მრეწველობის განვითარება.

○ 15 აგვისტოს ქუთაისში შესდგება ჭიათურის შავი ქვის მრეწველთა სწრაფი ყრილობა, მრეწველთ[illegible] საბჭოს და კანტორის ჭიათურაში გადატანის შესახებ.

რკინის გზაზე.

○ სათბობი მასალის შესახებ თათბირმა შესაძლებლად სცნო თანახმად გზათა მიმოსვლის მინისტრის შუამდგომლობისა აღდგენილ იქნეს მცხეთის მატარებლის მოძრაობა მხოლოდ იმ პირობით, რომ ამ მატარებლის ორთქლმავალები ქვა-ნახშირით ხურდებოდეს.

○ სახაზინო რკინის გზების სამტრედიის, ფოთის, ნატანების და ყვირილის ნაწილებში მოძრაობა უკვე ქვა-ნახშირით სწარმოებს, ხოლო 15 აგვისტოდან ყველა სახაზინო და კახეთის რკინის გზებზე ქვა-ნახშირით იქნება მოძრაობა.

○ სათბობი მასალის შესახებ მოთათბირეთა გამოანგარიშებით კახეთის რკინის გზას თვეში დასჭირდება 90.000 ფუთი ქვა-ნახშირი, სახაზინო გზებს კი ერთი მილიონი ფუთი. თათბირმა დაადგინა კახეთის რკინის გზის საჭიროება დაკმაყოფილებულ იქნას, რადგანაც მისი შეჩერება შეუძლებელია. სახაზინო გზებს კი შეძლებისა და გვარად დაეთმობა. ქვა-ნახშირი. ქვა-ნახშირი ჯერ რკინის გზებს მიეცემა, შემდეგ კი მცხოვრებლებს.

თავდასხმა.

○ ლანჩხუთში დაატუსაღეს ოზურგეთსა და ნატანებს შუა მომხდარ თავდასხმაში მონაწილე, ნატანების მღვდელი არონი დონდოლაძე. დატუსაღებულ ავაზაკის მიქაბერიძის ჩვენებით ძარცვაში მონაწილეობა მიუღია ნატანების სადგურის უფროსს ჭყონიას. ჭყონია დაჭერილია. ჯერ დაჭერილია 10 კაცი.

გამომცემლობა.

○ ჩვენმა რედაქციამ მიიღო ი. იმედაშვილის მიერ შედგენილი და გამოცემული „უცხო სიტყვათა ლექსიკონი„- მეორედ შევსებული და შესწორებული. წიგნი სუფთად და ლამაზად არის გამოცემული მშვენიერის ყდით. წიგნის განხილვისა და ჩვენი საზოგადოებისთვის უცხო სიტყვათა ლექსიკონის საჭიროების შესახებ შემდეგ გვექნება ლაპარაკი.

ხოლერა.

○ დუშეთის მაზრა. სოფ. ამილახვარიანთ კარში ხოლერით ავათ გახდა 5 კაცი. 8 ავგისტოდან ავად გახდა 16 და გარდაიცვალა 6 ხოლერიანი. სოფ. აშში ხოლერით გარდაიცვალა ერთი. ქალ. დუშეთში მხოლოდ ერთი მაგალითი იყო ხოლერის, ფასანაურში კი 2.

○ უკანასკნელ დღეს ქალაქის საავადმყოფოში ქალაქის სხვა და სხვა ნაწილებიდან მოიყვანეს 7 ხოლერიანი და 4 ხოლერის ნიშნებით. სახოლერო განყოფილებაში გადაყვანილია 2. მორჩა და გამოეწერა 6. დღის განმავლობაში გარდაიცვალა 6 ხოლერიანი და 2 ხოლერის ნიშნებით.

○ სამხედრო მინისტრს სიღნაღის მაზრის სოფ. ბადიაურიდან ჯავშნიან მატარებელთა უფროსი გოგვაძე ატყობინებს: „იმ რაზმს, რომელიც გაგზავნილი იყო მდ. იორის მარცხენა ნაპირის გასაწმედათ თათრებისაგან, აუტეხეს სროლა საღამოს 5 ს. და 30 წ. ჩვენ რაზმს მიეშველა ჯავშნიანი მატარებელი და 9-ჯერ ესროლა ზარბაზანი. მოწინაალმდეგე მდინარის იქით გავრეკეთ. ჩვენ მხრივ 1 მძიმეთ არის დაჭრილი 1 მსუბუქად. ადგილობრივი მცხოვრებნი თხოულობენ თათართა იარაღის აყრას და მზად არის დავეხმაროს. მე არ ძალმიძს ხალხის შეჩერება. თუ ნებას დამრთავთ გადავალ მდინარეზე თათართა იარაღის ასაყრელად".

უცხოეთი.

მარიამ სპირიდონოვის დახვრეტა.

ნემეცურ გაზეთებში ცნობაა, რომ ბოლშევიკებმა მარიამ სპირიდონოვისა დახვრიტესო. ეს დახვრეტა დაკავშირებულია მოსკოვში მემარცხენე სოციალისტ-რევოლიუციონერების ამბოხებასთან. ბოლშევიკური სამშვიდობო დელეგაცია უარსა ჰყოფს ამ ცნობას.

გაზეთის დახურვა.

23 ივნისს გაზეთ „დელო ნაროდას" რედაქციაში მისულა ბეჭდითი საქმის კომისარიატის მდივანი და შემდეგი შინაარსის ორდერი წარუდგენია: „გაზეთი დელო ნაროდა" კონტრრევოლიუციონურის და დარბევის, წამქეზებელ აგიტაციისათვის, რომელიც გამოიხატა დამრბეველთა ბრბოს მოქმედების მოწონებაში, რომელმაც „ციმბირის მთავრობის" სახელი დაირქვა და პეტროგრადში შემოსატანი პური დააკავა, სამუდამოდ იხურება. გამომცემლობა ვალდებულია გადაუხადოს ასოთამწყობებს და რედაქციაში ყველა მოსამსახურეთ 6 კვირის გასამრჯელო.

რეპინის გარდაცვალება.

გაზეთი „ნაშე სლოვო" (ყოფილი „რუსკოე სლოვო") იუწყება, რომ ფინლანდიაში გარდაიცვალა რუსეთის გამოჩენილი მხატვარი ილია რეპინი. როგორც გაზეთი დასძენს მისი სიკვდილის უმთავრესი მიმეზი სიმშილი ყოფილა.

პარიზი იცლება.

უკანასკნელ თვენახევრის განმავლობაში პარიზიდან 240 ათასი მცხოვრები გასულა. გაზეთი „მატენი" იუწყება: ხელოვნების განვითარების საპარლამენტო კომისიის თავმჯდომარემ მთავრობისაგან წინადადება მიიღო, რომ განიხილონ კითხვა ხელოვნების საგნების ევაკუაციის შესახებ როგორც პარიზიდან, აგრეთვე საომარ მოქმედებათა ზონიდან.

მურმანზე.

როგორც კიევში დაჭერილ რადიო დეპეშიდან სჩანს ჩეხო-სლოვაკების ციმბირში და მოკავშირეთა მურმანზე მოქმედებამ გეგმით შემუშავებული საომარი მოქმედების ხასიათი მიიღოო.

სომხეთა ცხოვრებიდან.

რომელია ჩვენი ორიენტაცია?

გაზ. „მშაკი" განაგრძობს მსჯელობას ორიენტაციის შესახებ: თუ რუსულ ორიენტაციას ამ მომენტში არ შეუძლიან იქცეს ჩვენ მხსნელად, თუ ოსმალური ორიენტაცია ჩვენთვის არ არის მისაღები, როგორც უკულტურო და მიუღებელი და თუ ამიერ-კავკასიამ უკვე ცდით გვიჩვენა, რომ ეროვნულ ანტაგონიზმის და ადგილობრივ ერთა სხვა და სხვა იდეალების მიზეზით არ ძალუძს თავისუფალი სახელმწიფოებრივი ცხოვრების შექმნა,

მაშინ სხვა რომელი ორიენტაცია დარჩა ჩვენთვის მისაღები?

ჩვენმა მეზობელ ქართველებმა ამ საკითხზე უკვე გასცეს პასუხი შეურყევლად არამც თუ სიტყვით, არამედ საქმით: მოიწვიეს გერმანია.

ჩვენ ვდგევართ უკვე ერთი ფაქტის წინაშე, რომელიც მოითხოვს ჩვენგან ჩვენი მდგომარეობის გამორკვევას.

არსებითად, ჩვენ წინაალმდეგი არა ვართ გერმანულ ორიენტაციისა.

ყველაზე მეტად აბობოქრებულ დღეებში ჩვენი ისტორიულ ცხოვრებისა, ჩვენ ჯერ კიდევ არ გვეთხოვნა რუსეთისაგან მფარველობა, რომ ჩვენ პირველად გერმანიას მივმართეთ, და თითონ გერმანია იყო, რომ მიგვითითა რუსეთზე. მერე 50—60 წლებში, აგრეთვე ბოლო ხანს ყველაზე უფრო თვალსაჩინო სომეხ მოღვაწეთ, მასწავლებლებს და მწერლებს სწავლა-განათლება მიუღიათ გერმანიაში. მაშასადამე თითონ გერმანელ ერის ჩვენთან კულტურული დაახლოვება ეხლა არ იწყობა. მაგრამ, თუ ეს დაახლოვება არ განმტკიცებულა, ამის საბაბია ის არა კაცთმოყვარე ურთიერთობა, რომელსაც იჩენდა ოფიციალური გერმანია ბოლო დროს, მეათე წლებში ოსმალეთის სომხების მიმართ. თუმცა ერთი მხრივ ამაში ბრალი მიუძღვის გერმანიაში გამეფებულ საზოგადოებრივ აზრს.

მიუხედავათ ამისა, იშვიათად მოიპოვებიან სომხის ერში იმისთანები, რომელთაც სძაგდეთ გერმანია, ან და არ იზიარებდნენ მის ორიენტაციას.

სწორედ ისე, როგორც რომ არავინ წინაალმდეგი არ იქნებოდა ინგლისურ, ფრანგულ ან ამერიკულ ორიენტაციებისა, თუ მათ პირველად შემოედგათ ფეხი ჩვენს ქვეყანაში.

და ეს არ უნდა გაგვიკვირდეს, რომ ჩვენი ორიენტაცია ცივილიზაციაა, ჩვენი ხალხის და ჩვენი ქვეყნის საერთო ინტერესია.

ჩვენ დარწმუნებული ვიყავით და ეხლაც უფრო ვრწმუნდებით, რომ ევროპიულ მძლავრ სახელმწიფოები მოისწრაფიან აზიისკენ არა ადგილობრივ ერების ინტერესთათვის, არამედ თავის საკუთარ ერის ინტერესებისათვის, თავიანთი ეკონომიური და პოლიტიკური მიზნის განსახორციელებლად.

არავისთვის არ არის საიდუმლო, რომ თუ გერმანია დაინტერესებული არ ყოფილიყო, ის არ გამოგზავნიდა თავის ძალებს აქ. და რადგანაც გერმანიას ჰქონდა ეს ინტერესი, ის აუცილებლივ უნდა მოსულიყო ჩვენი ნების და სურვილების დაუკითხავად.

არც ის არის საიდუმლო, რომ ჩვენი ბედიღბალი საბოლოოდ მოგვარდება არა თუ აქ და ჩვენი სურვილის თანახმად, არამედ მსოფლიო საზავო კონგრესზე, სადაც პირისპირ შეხვდებიან ერთიერთმანეთის მოწინაალმდეგე ძალები.

ასე, რომ შორეულ ქვეყნებიდან ჩვენთან მოსულ იმ ერების ორიენტაციებს, რომელთაც გულწრფელი ურთიერთობა არ ჰქონიათ ჩვენთან არც პოლიტიკურს, არც ეკონომიურ ასპარეზებში, ჩვენ შეგვიძლიან მიუახლოვდეთ მას შეგნებით, განსაზღვრული იმედებით და მხოლოდ რეალისტურად, მივიღოთ ჩვენი მოლაპარაკების საფუძვლად საურთოერთო ინტერესების შეგნება და გარანტია

აი მიზეზი, რომ განსაკუთრებულ განსხვავებას არ ვხედავთ კულტურულ დიდ სახელმწიფოებს შუა და ვთვლით მათი ორიენტაცია მიგვაჩნია შემთხვევითად, დროებითად. რადგანაც ჩვენ შევიქნებით მათი ეგოიზმის და ექსპლოატაციის საგანად, ჩვენთვის სულერთია თუ რომელი კაპიტალისტური—იმპერიალისტური სახელმწიფო იქნება ჩვენი ექსპლოატატორი, მეტად დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, რომ ამ პროცესმა ჩვენი ფიზიკური არსებობა არ ჩააგდოს განსაცდელში, ეკონომიურად არ დაგვიმონონ, არ იხმარონ ძალადობა, არამედ მოხდეს ისე, როგორც შეეფერება კაცობრიობას და კულტურულ წესებს.

რანაირი ორიენტაციაც უნდა მივიღოთ, ამიერ-კავკასიის შეერთება პირველი პირობაა; რანაირად მოხდება ეს შეერთება, კანტონურად, ფედერაციის თუ კონფედერაციის სახით, ეს თითქმის სულერთია; ეს ჩვენი შინაური საკითხია. ამიერ-კავკასიის სამი ერი ისეა საერთო ეკონომიურ ინტერესებით შეკავშირებული, რომ მათი განცალკევება არ არის შესაძლებელი. ეს ერთობა საჭიროა და დღეს თუ ხვალ უნდა განხორციელდეს.

მაშასადამე, გერმანულ ორიენტაციამ პირველ რიგში უნდა შეჰქმნას ეს ერთობა და მერე უნდა წესრიგი დაამყაროს სამივე თვით, მმართველ პოლიტიკურ ორგანიზაციებში, საქართველოს, აძერბეიჯანის და სომხეთის ურთიერთობაში სამართლიანი და გონიერი საფუძვლებით. ეს ის მიზანია, რომლის განხორციელებასაც ჩვენ დემოკრატიულ რუსეთიდან მოველოდით.

მაგრამ ჩვენ ვამჯობინებთ უდავო და შეურყეველ ორიენტაციის მიღებას. ეგ ორიენტაცია ადგილობრივი საერთო ქვეყნიური ინტერესების ორიენტაცია არის, ამიერ-კავკასიის დამოუკიდებელი ორიენტაცია, რომელიც მისაღები იქნებოდა ყველა ერებისთვის, რომლის წინაალმდეგ არაფერი არ ექნებოდა არცერთს კულტურულ სახელმწიფოს და საბოლოოდ, მეზობელ ოსმალეთს იმაზედ არ ექნებოდა მიზეზი მრუდე თვალით შეეხედნა.

მაგრამ ერთი პირობით, რომ დიდ სახელმწიფოებს შეეწყნარებინათ ეს ორიენტაცია და ამის თავდებათ გამხდარიყვნენ ოფიციალურად:

ასე ამიერ-კავკასიის საერთო ორიენტაციის შემზადება არის მეორე პირობა, რომელიც თუ განხორციელდება, ჩვენ იმედი გვექნება, რომ ჩვენს ქვეყანაში ჩამოვარდება ძალებთა შინაგანი სწორწონობა და მოისპობა გარეშე აგრესიული ხიფათი.

ფოსტა-ტელეგრაფის ნაციონალიზაცია.

ჩვენ უკვე ვიცით, რომ პირველს მარიამობისთვიდან ხორციელდება ფოსტა-ტელეგრაფის უწყებაში ნაციონალიზაცია. თუმცა ეს ჯერ-ჯერობით ძნელად გვეჩვენება, რადგანაც არა გვაქვს შემუშავებული საკუთარი ტერმინები, სპეციალური გამოთქმა, სახელები ამა თუ იმ საგნებისა და მოქმედებისა, მაგრამ ყველა ამას არ უნდა შეუშინდეთ: ჩვენ გვყავს ქართული ენის მცოდნენი, პროფესორები, ფილოლოგები და ყველაფერს მალე შევაჩვევენ და გავსწავლიან.

ფოსტა-ტელეგრაფის სამუშაო განიყოფება ორად: შინაგანი და გარეგნული სამუშაო. შინაგანი ჰქვიან ყველა იმ სამუშაოს, რომელიც სწარმოებს ფოსტა-ტელეგრაფის მოხელეთაგან: კორესპონდენციის გარჩევა, წიგნებში ჩაწერა, დაბეჭდვა, გაგზავნა, დოკუმენტების შედგენა, საფოსტო ნიშნების (მარკები, ღია ბარათები) დაგზავნა პროვინციებში, დეპეშების გადაცემა და მიღება, ტელეგრაფის მავთულების გაბმა და სხვა ამგვარი სპეციალური სამუშაო.

გარეგნული კი ჰქვიან იმ სამუშაოს, რომელსაც აწარმოებენ თვით მცხოვრებლები მაგალითად წერილებზე, ამანათებზედ, ფულის გადასაგზავნებზედ, მისამართების დაწერა, და დეპეშების შედგენა, ამანათების შეკვრა და სხვა.

ნაციონალიზაციისთვის უპირველესად საჭიროა საფოსტო ნიშნების დამზადება: (მარკები, ღია ბარათები, ბანდეროლები და სხვა).

უწინ ზემოთ ჩამოთვლილი საფოსტო ნიშნები პეტროგრადში იბეჭდებოდა.

ფოსტის ნიშნები მოსდიოდა თბილისის უმთავრესს ფოსტის კანტორას, რომელიც უგზავნიდა პროვინციას მოთხოვნილებისამებრ.

რუსული საფოსტო ნიშნები ეხლა ჩვენ აღარ გამოგვადგება, ჯერ ერთი იმიტომ, რომ საფოსტო ნიშნებზე წარწერები რუსულ ენაზეა და მეორე რუსული საფოსტო ნიშნების ფასი საქართველომ უნდა გადაიხადოს და რა ხელსაყრელი იქნება უცხო სახელმწიფოში დამზადებული საფოსტო ნიშნები ჩვენმა სახელმწიფომ ასაღოს. ამიერიდან დამოუკიდებელმა საქართველომ უნდა თავისი საკუთარი ქართული ნიშნები იქონიოს ფოსტისაც, ღერბისაც და სხვ.

საჭიროა საფოსტო ნიშნების დამზადებას მიექცეს ყურადღება, თორემ ერთ მშვენიერ დღეს სულ ცარიელები დავრჩებით და ფოსტის გასაგზავნათ ხელთ არა გვექნება რა. დაყოვნებამ, შესაძლებელია, ცუდს გარემოებაში ჩააყენოს ხალხიც და ფოსტა-ტელეგრაფის უწყებაც. საფოსტო ნიშნების შემუშავება ეს ჩვენი მხატვრებისა და საერთოდ სპეციალისტების საქმეა, მაგრამ მე მაინც გამოვსთქვამ ამის შესახებ ჩემს აზრსაც.

შ. იანქოშვილი.

ქართული საკომერციო სასწავლებელი.

საქართველოს დამოუკიდებლობის აღორძინების ერთი ქვა-კუთხეთაგანია მისი ვაჭრობა-მრეწველობის აღორძინება ახალ ევროპიულ წესზე.

ამას კი ეჭირვება შესაფერი სასწავლებელი და მეცნიერულად მომზადებული ხალხი. ჩარჩული ალებ-მიცემობა შორ მანძილს ვერ გაგვატარებს. ძველებური ვაჭრობა-მრეწველობა ვერ აგვამაღლებს. სავაჭრო-სამრეწველო და სასოფლო სამეურნეო სწავლა-ცოდნის მოფენა,- აი სად უნდა ვეძიოთ ხსნა და შველა. ამ ჟამად სასოფლო სამეურნეო დარგს მხარს ავუქცევთ და მხოლოდ სავაჭრო-სამრეწველო, ანუ საკომერციო სასწავლებლის შესახებ ვიტყვით ორიოდე სიტყვას.

დღემდე თბილისში არსებობდა სამი საკომერციო სასწავლებელი, და სამივე, რა თქმა უნდა გადამგვარებელ-გამარუსებელი მიმართულებისა; გარდა ამისა, ამ სასწავლებლებში ხელოვნურად ქართველ მოწაფეთა რიცხვი ნაკლები იყო. გამონაკლისს შეადგენდა მხოლოდ მეორე საკომერციო სასწავლებელი, სადაც მასწავლებლობენ ზოგიერთი ჩვენი საზოგადო მოღვაწენი. წინათ ამ სასწავლებლის გამგე-დირექტორმა და ზოგიერთმა მასწავლებელმა ბევრი ბრძოლა, ბევრი დევნა განიცადეს, რომ ქართველებს აქ მაინც მიეღოთ საკომერციო სწავლა-განათლება. ამიტომაც იყო და არის, რომ ქართველი მოწაფენი აქ სჭარბობენ.

დღეს, სასწავლებელთა გაეროვნულების ხანაში, რა თქმა უნდა, ამ დარგშიაც ახალი სიო დაჰქროლავს. საჭიროა, რომ თბილისის მეორე საკომერციო სასწავლებელს შესაფერი ბინა მიეჩინოს და წყაროც გაუჩინოს, რომ ამ სასწავლებელმა უფრო მეტის მუყაითობით აღზარდოს საკომერციო ცოდნით აღჭურვილი თაობანი, უფრო ღირსეულად შეასრულოს თვისი მოწოდება ჩვენის ახალგაზდა რესპუბლიკის წინაშე.

ამ საქმეს დაკვიანება არ შეეფერის.

ი. ა.

უკრაინის მოქალაქეობის კანონი.

მოგვყავს უკრაინის მოქალაქეობის კანონის ზოგიერთი მუხლი, რომელიც მინისტრთა საბჭომ შეიმუშავა და ჰეტმანმა დაამტკიცა.

„სახელმწიფო და საზოგადოებრივი თანამდებობები უცხოელებს შეუძლიანთ დაიკავონ იმ დაწესებულებებში, სადაც ეს შესაძლებელია საგანგებო კანონის ძალით."

„სახელმწიფო სამსახურის შესახებ ახალ კანონების გამოცემამდე რუსეთის სახელმწიფოს კანონები ამ სამსახურის შესახებ ძალაში რჩებიან."

„რუსეთის ყველა ქვეშევრდომი, რომელიც უკრაინაში სცხოვრობს ამ კანონის გამოცემის დროს, იგულისხმება უკრაინის სახელმწიფოს მოქალაქეთ. ის, ვინც არ მოისურვებს დაემორჩილოს ამ დადგენილებას მან უნდა ადგილობრივ უხუცესს განუცხადოს ამის შესახებ ერთი თვის განმავლობაში ამ კანონის ადგილობრივ მიღების დღიდან, უცხო სახელმწიფოთა ქვეშევრდომობის მოქალაქეობის განსაკუთრებულ ალფავიტში ჩასაწერად.

„ყველა, ვინც უკრაინის მოქალაქეობა მიიღო ამ კანონის 7 და 13 მუხლის წესით, ვალდებულია უკრაინის სახელმწიფოს ერთგულება შეჰფიცოს, კანონთან დართულ შეფიცვის ტექსტის მიხედვით".

„ის პირნი, რომელნიც თავის რწმენის გამო უარსა ჰყოფენ შეფიცვას, სდებენ საზეიმო დაპირებას საოლქო სასამართლოს ადმინისტრატიულ განყოფილების სხდომაზე. დაპირების ტექსტი იგივეა, რაც შეფიცვისა, მხოლოდ გამოიშვება სიტყვა „და ვფიცავ."

„უკრაინის სახელმწიფოს ყოველივე მოქალაქეს უფლება აქვს უკრაინელ მოქალაქეობაზე უარი განაცხადოს, მხოლოდ ამ უარის განცხადებაზე ნების დართვა შეიძლება უკრაინის მოქალაქეთ სამი წლის ყოფნის შემდეგ."

შეფიცვის ტექსტი.

„პირობას ვდებ და ვფიცავ მუდამ ერთგული ვიყო უკრაინის სახელმწიფოსი, როგორც ჩემი სამშობლოსი, დავიცვა სახელმწიფოს ინტერესები, მთელი ჩემის ძალღონით ხელი შეუწყო მის დიდებას და აყვავებს და ამისთვის სიცოცხლეც კი არ დავიშურო. პირობას ვდებ და ვფიცავ არ ალვიარო სხვა სამშობლო გარდა უკრაინის სახელმწიფოისა, გულწრფელად შევასრულო ყოველივე მოვალეობა მისი მოქალაქისა, დავემორჩილო მის მთავრობას და მის მიერ დანიშნულ ყველა პირობას, და მხედველობაში ვიქონიო, რომ სიკეთე და აყვავება ჩემი სამშობლოსი ჩემთვის ყველა ჩემს პირად ინტერესებზე მაღლა დგას."

დავით ქებამის დეპეშა ბორჯომის წყლების ექსპლოატაციის შესახებ.

საქართველოს 158 ნომერში მოთავსებულია ცნობა ეროვნულ დემოკრატიულ ფრაქციას შეუტანია საბჭოში შეკითხვა ბორჯომის წყლების ექსპლოატაციის შესახებ. ამისათვის საჭიროა იცოდეთ როგორც თქვენ, აგრეთვე საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქეთ თუ რა პირობებში მოხდა ბორჯომის წყლის ჩვენს ხელში გადმოსვლა. სამინისტროსაგან გაზეთებში იყო გამოცხადებული ბორჯომის წყლის როგორც რაოდენობა აგრეთვე ფასებიც. ამ დროს თათრები ბორჯომის ახლოს აწყურს უტევდნენ. მოსალოდნელი იყო არამც თუ ამ წყლების დაკარგვა თვით ბორჯომის ბედიც ბეწვზედ ეკიდა. წყლების აღება ვერავინ გაბედა. აი ამ დროს ჩვენ ვიკისრეთ ბორჯომის წყლის ექსპლატაცია, დავდევით ხამინისტროსთან სათანადო პირობა, მაშინვე განვაცხადეთ, რომ მზათ ვიქნებით ამა თუ იმ მუხლების შესწორებაზე თუ ამას მთავრობა საჭიროდ დაინახავდა. ამაზე დღესაც მზად ვართ. ამ მოკლე ხანში ჩვენ შევძელით რამოდენიმე დაბრკოლებათა გადალახვა და აგენტების

საშუალებით თითქმის ყველა მეზობელ ქვეყნებში და საზღვარ გარედ მოუმზადეთ ბაზარი ბორჯომის წყალს, მაგრამ ტრანსპორტის მოუწესრიგებლობა ხელს გვიშლის, რამაც გამოიწვია დიდათ ზედმეტი ხარჯები. სჩანს ჩვენი ფრაქცია არ არის გაცნობილი საქმის ნამდვილ მდგომარეობას და შეცდომაში შეჰყავხართ საქართველოს რესპუბლიკის მტერთ. ამისათვის უმორჩილესად გთხოვთ დანიშნოთ თქვენი ფრაქციიდან კომისია ჩემს ხარჯზე, რომელიც გაეცნობა ადგილობრივად წყლის ექსპლოატაციის საქმეს და დაგარწმუნებთ, რომ ქართველ მრეწველსაც შეუძლია არა ნაკლებ უცხო მრეწველებზე საერთო სახელმწიფოებრივი ხასიათის მრეწველობის მოგვარება. ბორჯომის წყლის მოიჯარადრე.

კანონ-პროექტი ღვინის აქციზის შესახებ.

საქართველოში აწ მოქმედ 1915 წ. 14 კათათვის რუსეთის კანონს ღვინის აქციზის შესახებ აქვს სახეში ის ღვინო, რომელიც გააქვთ რუსეთის შიდა გუბერნიებში.

მეღვინეობის რაიონებს (კავკასიას, ბესარაბიას, ყირიმს და თურქესტანს) ეს კანონი ფართო შეღავათებს აძლევს: ყველა ზემო-აღნიშნულ ადგილებში. (ღვინის წარმოების, გაკეთების და მოხმარების), გარდა ქალაქებისა, ნება დართულია უაქციზოდ ვაჭრობა და მხოლოდ ქალაქებში იღებენ ღვინოზე საბანდეროლო გადასახადს. ჯერ კიდევ 1914 წელს მევენახეთა ყრილობაზე ქ. კავკავში, როდესაც ძირითადი დებულებები ამ კანონისა მუშავდებოდა მე განვაცხადე, რომ ამგვარი კონსტრუქცია კანონისა ღვინოზე დადებულ გადასახადის შეამცირებს ამიერ-კავკასიაში და დაიყვანს მას უმნიშვნელო რიცხვამდის.

მართლაც 1916 წელს მთელს ამიერ კავკასიაში შემოვიდა ღვინის გადასახადი 1.694-000 მანეთი და 1917 წელს -კი 1. მილიონ მანეთამდის, რომლიდანაც თბილისისა და ქუთაისის გუბერნიებზედ და სოხუმის ოლქზე მოდიოდა ამ თანხის ნახევარზე ნაკლები. სტატისტიკური ცნობებით საქართველოს ტერიტორიაზე, ღვინის მოსავალი, ამ უკანასკნელ ათი წლის განმავლობაში უდრის 62.782,889 ვედროს. საშუალო რიცხვით წელიწადში 6-მილიონ ვედროს აღემატება თუ მივიღებთ მხედველობაში, რომ მთელი ამ ღვინის მოსავლის ერთი ნახევარი ადგილობრივ საჭიროებისათვის იხარჯება და მხოლოდ მეორე ნახევარი მიდის გასაყიდათ, მაშინაც-კი, აწ არსებულ გადასახადების ნორმის მიხედვით (4 მან. 80 კ. ვედროზე) ღვინის აქციზს უნდა მოეცა შემოსავალი საქართველოს რესპუბლიკის ხაზინისათვის არა ნაკლებ 14,4 მილიონ მანეთისა; ესე იგი 29-ჯერ მეტი ვიდრე ეხლა შემოაქვს აქედან სჩანს, რომ კანონი 14 მკათათვის 1915 წ. შექმნილი რუსეთისათვის სრულიად არ შეესაბამება საქართველოს ეხლანდელ პოლიტიკურ ვითარებას. ამიტომ საჭიროა ეს კანონი ძირიანად შეიცვალოს.

გარდასახადი შემოღებული ღვინოზედ ეკუთვნის ცოტათ თუ ბევრად უძველეს დროს და დასავლეთ ევროპაში არ მოიპოვება არც ერთი კუთხე მეღვინეობისა, სადაც ეს გადასახადი ამა თუ იმ ფორმით არ იყოს განხორციელებული მრავალ საუკუნის განმავლობაში. დასავლეთ ევროპის ქვეყნების კანონმდებლობა ღვინის აქციზის შესახებ ერთი ერთმანეთისაგან განირჩევა უმთავრესად აქციზის გარდასახადის ვალდებულობის მომენტის განსაზღვრით ანუ ეგრეთ-წოდებულ Steueroflichtigteit-ის დაწყებით და შეიძლება უმთავრესად განაწილებულ იქმნას სამ რიგათ

ყველაზე უძველესი ამათში არის იტალიის სისტემა, რომლის მიხედვით აქციზი უნდა გარდახდილ იქმნას, როდესაც ღვინო გადის ერთიდან მეორე საბაჟო რაიონში საზღვრების გარე.

ამასთანავე აქზციზის ზომა განისაზღვრება ღვინის რაოდენობის, მის ღირებულობის, დასახლებულ რაიონის მცხოვრებთა რიცხვის მიხედვით.

უფრო ამ დროულად უნდა ჩაითვალოს ახალი გერმანული სისტემა (საერთო იმპერიის კანონი, ღვინის გადასახადების შესახებ 1892 წელს), რომლის ძალითაც სააქციზო გადასახადების დროთ ითვლება ის მომენტი, როდესაც ღვინო მომხმარებლის ან ნარდათ მოვაჭრის (оптовый торговецъ) ხელში გადადის, ხოლო აქციზის რაოდენობა წესდება ღვინის ღირებულობის დაკვალად. ღვინის სყიდვის დროს მყიდველი მოვალეა ეს ღირებულობა გამოუცხადოს ხაზინის მეთვალყურეს.

მაგრამ ორივე ეს სისტემა საქართველოსათვის მიუღებელია: იტალიური—შიდა საბაჟო ფარგლების უქონლობის გამო.

ხოლო გერმანული,—რადგანაც არ შეიძლება დარწმუნებული ვიყოთ რომ იმ ზნეობრივ პირობებში, რომელშიაც ეხლა სწარმოებს ვაჭრობა, რომ მყიდველი სიმართლით აჩვენებს ღვინის ფასს, გვრჩება მხოლოდ მივმართოთ პრაქტიკულ მაგალითს საფრანგეთისას, ღვინის გადასახადების შესახებ, მათი წინასწარ განზომილი და შორს-მჭვრეტელი პოლიტიკა, გვაძლევს გარანტიას შეცდომების თავიდგან აცილების შესახებ.

ძირითად ძველ ფრანგულ სისტემას ახასიათებს შემდეგი სამი პრინციპი:

I. გადასახადი ღვინის რაოდენობის მიხედვით.

II. აქციზის გადასახადის დროთ ითვლება ღვინის გადაცემა მწარმოებლისაგან მოვაჭრის ან მომხმარებლის ხელში (enlévement)...

III. გადატან-გადმოტანის საქმე ფორმალურად შეზღუდული იყო (droit de circulaion) (ნებართვა, გადატანის ნებართვის მოწმობები და სხვა).

აი ეს სამი უმთავრესი პრინციპი უნდა იქმნას შესწორებით გადმოღებული, საფრანგეთის რესპუბლიკიდან, რომელსაც საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა, თავის წვრილ მეღვინეების მეურნეობათ ძლიერ ემზგავსება.

თუ ამასთანავე ერთ დროულად, გავანთავისუფლებთ ღვინოს სხვა გადასახადებისაგან აქციზის გარდა, მივცემთ თავისუფალ ვაჭრობის ნებას ბანდეროლის საშუალებით და აგრეთვე დავაწესებთ საქართველოში საზღვარგარეთ შემოტანილ ღვინოზე ბაჟს, მაშინ შეგვიძლიან თამამად ვსთქვათ, რომ ახალი კანონი ღვინის აქზიზის შესახებ მისცემს საქართველოს რესპუბლიკის ხაზინას არა ერთ ათეულ მილიონს.

ელ. გ—კი.

დემოკრატიულ ორგანიზაციების საყურადღებოთ.

საერთაშორისო ომიანობამ სხვა უბედურებასთან ერთად მოგვიტანა ათას ნაირი სენი, რომელიც გვიქადის ახალ მსხვერპლის შეწირვას; რა თქმა უნდა, უმეტესი მსხვერპლი ამ დაუნდობელი სენისა იქნება დემოკრატიული ნაწილი ჩვენი ქვეყნისა, რადგანაც მათ ნივთიერი მდგომარეობა ხელს არ უწყობს დაიცვან ის ჰიგიენური და საინტარული პირობები, რომლებიც საბრძოლველი იარაღია ამ გვარ სენის წინააღმდეგ.

საქართველოს მიწა-წყალსაც ეწვია ხოლერა და თუ საჩქაროდ არ მივიღეთ შესაფერი ზომები მის მოსასპობად, მთელი ჩვენი ქვეყანა საფრთხეში ჩავარდება, გაიმუსრება, დასუსტდება.

ყოველ გვარი გარეშე საფრთხის დროს სამშობლოს დასაცველად იარაღით გამოდის ხოლმე დემოკრატია და ზვარაკად ეწირება ხალხის კეთილდღეობას. ჩვენთვის არა ნაკლები მტერია დაუნდობელი და საშინელი სენი ხოლერა. ამიტომ ამ სენთან ბრძოლა დემოკრატიამ უნდა იდვას თავზედ ხალხის საკეთილდღეოდ, ვინაიდან ყოველგვარი სნეულების გავრცელების მიზეზი არის სოციალური პირობები და ამიტომ დარწმუნებული უნდა ვიყვეთ, რომ ჩვენი ქვეყნის ბურჟუაზიული ნაწილი ამ სენის საფრთხისგან უზრუნველყოფილია. ამ სენთან საბრძოლველად საჭიროა:

1). ყველა საუბნო თუ სასოფლო დემოკრატიულმა ორგანიზაციებმა უნდა გამოჰყონ აღმასრულებელი სასანიტარო კომისია, რომელმაც უნდა მოაწყოს სენთან საბრძოლველი რაზმები.

2). ამ რაზმში უნდა შედიოდნენ აგრეთვე წითელ გვარდიელთა და მილიცის წარმომადგენელნი.

3). რაზმმა უნდა ადევნოს თვალყური, რომ ყველგან სისუფთავე იყოს დაცული, დუქნებში, ეზოებში და სხვ.

4). უნდა აიძულონ სახლის პატრონები, რომ მორწყონ ხოლმე თავიანთ კარ--მიდამო, წყალში გახსილ კირით.

5). რაზმმა უნდა ადევნოს თვალყური, რომ მოქალაქეებმა არ დამალონ საეჭვო ავადმყოფნი.

ასევე უნდა მოიქცნენ სოფლებში ყველა ეს ხარჯები უნდა იკისრონ ქალაქის თვითმართველობამ, მაგრამ მარტო ქალაქი უძლურია ბრძოლაში, საჭიროა დახმარება ჩვენგან, ვინაიდან რაც უნდა დემოკრატიული იყოს ქალაქის თვითმართველობა მაინც უძლურია თუ ძირიდან არ მოხდა დახმარება.

მხოლოდ ამ საშუალებით შეგვიძლიან ავიშოროთ სასტიკი სენი, თორემ კედელზედ გაკრული განცხადებანი ვერ გვიხსნიან საფრთხისგან.

ვ. ს-შვილი.

ჟურნალ-გაზეთებიდან.

ინგლისისა და საფრანგეთის კონსულების დატუსვება.

ინგლისის მთავრობას ცნობა მიუღია, რომ მოსკოვში ინგლისის გენერალური კონსული დაუტყვევებიათ, რომელსაც დამოკიდებულება აქვს არხანგელსკში საბჭოთა დეპუტატის დახვრეტასთან. დატუსაღებულია აგრეთვე საფრანგეთის კონსული.

—

უკრაინის დიპლომატიური წარმომადგენლობა.

რუმინიის მთავრობისაგან უკრაინის მთავრობას თანხმობა მისვლია, რომ კიევსა და ბუქურეშტს შორის შეიძლება დიპლომატიურ წარმომადგენლობით ურთიერთობის დამყარება.

—

კონტრიბუციის გადახდა.

უკრაინის მთავრობის წარმომადგენლებმა თანხმობა განაცხადეს, რომ თავს იდებენ სახელმწიფოებრივ იმ ვალის მესამედის გადახდას, რომელიც ბრესტ-ლიტოვსკის ხელშეკრულობის თანახმადა რუსეთმა გერმანიას უნდა გადაუხადოს.

განცხადებები

ქართულ ენაზე
საბუღალტერო და საკომერციო კურსები

ორივე სქესისათვის.

კურსები 3-ამ თვიანი, სწავლება საგნების ქართულ ენაზე. მეცადინეობა დაიწყება 10 ენკენისთვიდან. თხოვნები მიიღება დილით 10 ს.—11-ს. საღამოს 5—ს.-7-დე. ნიკოლოზის ქუჩა № 22. ბუჰხალტერი ნ. ვ. აბრამიანცი.

პეტრე როსტომის ძე კვახაძე აცხადებს რომ მან დაჰკარგა 1) პასპორტი 5 წლ. მოცემული ბათუმის მილიციის სამართველოსაგან 16 მაისს 1917 წ. 2) მეტრიკული მოწმობა სინოდალურ კანტორიდან მოცემული. 3) საჯარო ვაჭრობის ასლი მოცემული ამბროლაურის უბნის მოსამართლისაგან რაჭის მაზრის უძრავი ქონების შესახებ. 4) მოწმობა მოცემული ქუთაისის გუბერნიის კომისარიდან 10 აგვისტოს 1918წ. ბათომში წასვლის ნებართვა. ყოველივე ზევით მოხსენებული დოკუმენტები დღეიდან ჩაითვალოს გაუქმებულად. მნახველს ვთხოვ გადასცეს თბილისი, გორის ქუჩა № 24 (დიდუბე) ს. კაციტაძეს, რისთვისაც მიიღებს შესაფერ ჯილდოს. 2—2

კავკასიის ბანკის გამგეობა აცხადებს, რომ ფულის შენახვის ბილეთი № 74707. 12600 მ. 23 იანვარს 1918 წ. მიცემული მისდამი ელისაბედ იოსების ასულ ენიკოლოპოვაზე—დაკარგულია. თუ ზემო აღნიშნული ერთი წლის ვადაში უკანასკნელ გამოცხადებიდან ვინმემ არ წარმოადგინა ბანკში, ის ჩაითვლება გაუქმებულად.

კარნეი ივანეს ძე ბანდურა აცხადებს, რომ მან დაჰკარგა მოწმობა № 43 თბილისის სახელმწიფო თეატრის კომისარისაგან მიღებული, რომელიც ამიერიდან გაუქმებულად უნდა ჩაითვალოს.

ქ. თბილისის მეოთხე განყოფილების მომრიგებელი მოსამართლე იწვევს 16 ივლისს 1918 წ. გარდაცვალებულის ლეოკადია მიხეილის ასულის ლაიდზბერგის მემკვიდრეებს, რათა მათ აღიარონ თავისი უფლება ლაიდზბერგის ქონებაზე 1241 მუხ. ძალით დადგენილ ვადაში. 12 აგვისტო 1918 წ.

დავკარგე ქალ. არდაგანის ევაკუაციის დროს თბილისის განყოფილების სახელმწიფო ბანკის მიერ მოცემული შესანახი ხელწერილი 4.000 მან. ობლიგაციები № 49949: შუშანიკა გიორგის ასული ვართაპეტიანცისა.

სრული ვექილობა მიცემული ჩემდამი ირაკლი ჩილიკიძეზე ითვლება გაუქმებულად 10 აგვისტო 1918 წ.

ექიმი კურტიდი. (3—3)

თ. იოსელიანი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა ორი ბანკის ჩეკი № 1658 მან; ილიკო მარიჯანოვის სახელზე და მისივე პირადობის მოწმობა მოცემული № 398 ლაზარეთის უფროს ექიმის კოლნოვსკის მიერ და ასი მანეთი ფულათ. მპოვნელს ვთხოვ ფული თვითონ დაიტიოს, ხოლო საჭირო ქაღალდები წარმოადგინოს „საქართველოს რესპუბლიკა“-ში.

ვლადიმერ თედორის ძე კლემენტოვი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა ხელწერილი № 50514, მიღებული სახელმწიფო ბანკის თბილისის კონტორიდან 17 აგვისტოს 1915 წელს, რომ მას ენახება მისი სარგებლიანი ქაღალდი პირველი მომგებიანი სესხისა № 00 649 13. (2—2)

არტემ ადამაშვილი აცხადებს რომ მან დაჰკარკა ღვინის სავაჭრო პატენტი და სხვა დოკუმენტები. მპოვნელს სთხოვს მოიტანოს ჩერქეზიშვილის ქ. № 123.

დავკარგე თბილისის კერძო ლომბარდის ბილეთი № 73189 40 მან.

ყველასათვის საჭირო და სასარგებლო წიგნი

(25 წლის ნაშრომი)

=უცხო სიტყვათა ლექსიკონი=

მეორე შევსებულ-შესწორებული გამოცემა, აწყობილია უშპონოდ (მჭიდროდ), კორპუსით, დაბეჭდილია კარგს ქაღალდზე, შეიცავს 1,100 გვ., განმარტავს ყოველგვარ უცხო სიტყვას და ანდაზა-წინადადებათ. ფასი: ხელის მომწერთათვის მშვენიერი კალენკორის ოქროს ვარაყიან ასოან ყდით 20 მან., უყდო—15 მან, (წინად შემოტანილის გამორიცხვით), არა ხელის მომწერთათვის—ყდით 30 მან., უყდოთ—25 მან. ფოსტის ხარჯი—2 მან. (ვინც პირდაპირ „თეატრი და ცხოვრ.“ რედაქციაში შეიძენს—ეს ხარჯი აღარ გადახდება. წიგნის გაწერა შეიძლება: თბილისი, ბაზრის ქ. № 20, ალექსანდრეს ბაღის გვერდით, რედაქცია „თეატრი და ცხოვრება“-ს რედ. იოსებ იმედაშვილს.

5-2

საქართველოს
სახაზინო რკინის გზათა მმართველობა

ამით აცხადებს საყოველთაოდ, რომ ქვემო აღნიშნული საქონელი, გაუტანელი რკინის გზათა წესდების 84 მუხლში აღნიშნული ვადის განმავლობაში, გაიყიდება თბილისის ცენტრალ საწყობში „28“ დეკემბერს 1918 წ. დილის ათ საათზედ. გაუყიდავი საქონელი ხელმეორედ დაინიშნება გასასყიდად „29“ დეკემბერს ამა წლისა.

ბაგაჟი. მიღებული თბილისში ხაშურიდან: № 33731—1 ფ. 30 გ., მცხეთიდგან № 5119—2 ფ. 35 გ., ბათომიდგან № 79312—2 ფ. 30 გ., ბათომიდგან № 6050—1 ფ. 35 გ., ქუთაისიდგან № 19146—35 გ., ბათომიდგან № 4449—25 გ., მცხეთიდგან № 5120—1 ფ., ფოთიდგან № 187449/42232—39 გ., ევლახიდგან № 54316—35 გ., ნავთლუხიდგან № 22558—11 ფ. 10 გ., ნახიჩევანი გორ. № 216878—6 ფ. 30 გ., ბაქოდგან № 9139—3 ფ. 5 გ., ნავთლუხიდგან № 22490—2 ფ. 25 გ., ნავთლუხიდგან № 111709—1 ფ. 5 გ., ბაქოდგან № 9160—24 გ., ჯულფიდგან № 26714—1 ფ. 35 გ., ყვირილადგან № 208652/3409—1 ფ. 15 გ., არმავირიდგან № 5229—13 ფ. 10 გ., მოსკოვიდგან № 143254—39 ფ. 30 გ., ბალტიდგან № 325—1 ფ. 5 გ., ვორონეჟიდან № 1511—2 ფ. 35 გ., კიევიდან № 9325—3 ფ. 23 გ., კისლოვოდსკიდან № 47407—3 ფ. 12 გ., თემირხანშურიდან № 695—35 გ., პროხლადნაია № 4377—35 გ., პეტროვსკ პორ. № 2048/152—15 გ., ხარკოვიდგან № 9028—33 გ., გროზნიდან № 3799—3 გ., როსტოვიდგან № 42840—1 ფ., თუაფსედან № 12551—2 ფ. 35 გ., მინსკიდან № 1136—1 ფ. 8 გ., პეტროგრადიდგან № 8335—5 ფ. 28 გ., მოსკოვიდგან № 139287—4 ფ. 14 გ., მოსკოვიდგან № 142538—1 ფ. 26 გ., პეტროვსკ პორ. № 3363—1 ფ. 30 გ., მოგილევიდგან № 419—4 ფ. 35 გ., გროზნიდან № 3803—5 ფ. 19 გ., თუაფსედან № 12768—4 ფ. 22 გ., ელისავეტგრადიდან № 3336—1 ფ. 35 გ., ვუზჩევკადან № 1758—11 ფ. 8 გ., პეტროვსკ პორ. 10507/323—509—6 ფ. 20 გ., პეტროგრადიდან 8637—11 ფ. 35 გ., მოსკოვიდგან № 148759—4 ფ. 9 გ., პეტროგრადიდგან № 18052—1 ფ. 8 გ., პეტროგრადიდგან № 67331—3 ფ. 12 გ., ტაშკენტიდგან № 886—4 ფ., პსკოვიდგან № 4858—3 ფ. 6 გ., პეტროგრადიდან № 16041—2 ფ. 25 გ., რეველიდან № 5112—5 ფ. 20 გ., კიევიდგან № 8954—3 ფ., ფოთი ნავსადგურ. № 69949—კოპტონი (ქმიხა) 36 გ.

მიღებული ფოთში—თბილისიდან: № 83699—მედიკამენტი და მოხარშული რძე (სგუშჩონი) 8 ფ. 35 გ., თბილისიდან № 52566—2 ფ. 12 გ., თბილისიდან № 52778—2 ფ. 10 გ., ბათომიდან № 11885—23 ფ. 2 გ., ყარსიდან № 6866—39 ფ.

თბილისი. ნაპოვნი საქონელი:

№ № 50, 51, 52, 53, 54 ღ 55, 38, 39, 40, 41, 42, 43, 45, 46, 47, 48 და 49.

უდოკუმენტო საქონელი: ჯუმათი ბაგაჟი—საცვლები 2 ფ. 35 გ. 3—3

სტამბა საქართველოს მთავრობისა.

რედაქტორი პ. დ. საყვარელიძე.